საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 31 იანვარი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივად ზომა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 3

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 3

გულდამწუხრებული მშობლები: აგრაფინა თავაძისა და სოლომონ თავაძე (ობოლი მუშა) ატყობინებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი

კაკი

დაკრძალვა შაბათს, 31 იანვარს შუა დღის 3 საათ. ჯუღელის ქუჩ. № 48. დიდუბის სასაფლაოზე. (345—2—2)

გულდამწუხრებული დეიდები: ქეტო სარალიძე, [illegible] გიორგაძე, სალომე გოლოშიძე, ბიძანები: დათიკო სარალიძე და სევერიანე გოლოშიძე, გამზრდელნი დასო და პავლე თუხაშვილები ატყობინებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

კაკი თავაძე

გამოსვენება და დასაფლავება დანიშნულია 31 იანვარს შუადღის 3 საათზე (ჯუღელის ქუჩ. № 48) დიდუბის სასაფლაოზე. (342 2—2)

სახელმწიფო კანტროლის მოხელენი გულითადი მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვალებულის ამხანაგის რევიზორის თანაშემწის

ნოე კონსტანტინეს ძე კანდელაკის

ნათესავ-მეგობრებს. დაკრძალვა განსვენებულისა დანიშნულია ქალ. ლანჩხუთში 31 იანვარს. (349—2—2)

უზომოდ დამწუხრებული იოსებ პლატონის ძე ბეგენავა შვილებით და დედა ნინო ბახტაძის ასული კორტაძისა ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 1 თებერვალს, დილის 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულის პირველის მეუღლის და უკანასკნელის საყვარელი შვილის

ნადია ონისიმეს ასული ბეგენავას

სულის მოსახსენებლად. (357 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დავით და ნატალია, ძმები: გიგა, ვანო და იოსები, რძლები: ვერა, თამარა და სოფიო, [illegible] ლიდა ტუხაშვილები და დაობლებული კატუშა გვრიტიშვილი მწუხარებით ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ვ. წ. თებერვლის 1 დილით კვირას გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში

ანეტა დავითის ასულის გვრიტიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება ჩვეულებრივ დროს, პანაშვიდი კი 12 საათზე (356 2—1)

შვილები: ვანო და იულია კანდელაკები და სიძე ტიტე მიქელაძე თავისი მეუღლით აგრაფინათი, გულითადის მწუხარებით ატყობინებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი უსაყვარლესი მამის მღვდლის

ვლადიმერ კანდელაკის

სულის მოსახსენებლად ერთი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფელ ნიგოეთში ადგილობრივ წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს, იანვრის 31-ს (358 1—1)

ზაქარია იოსების ძე და მეუღლე მისი ელენე კონსტანტინეს ასული უზნაძეები ატყობინებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 1 თებერვალს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფასის დედის და დედამთილის

ვარვარე უზნაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (348 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ალექსი, კოსტა, ტარასი, ზინა, ოლღა; რძალი ანეთი; შვილიშვილები: კატო, აგრაფინა, ლავრენტი, შოლიკო; სიძეები: ივლიანე, დომენტი და გიორგი ატყობინებენ თავიანთ ნათესავებს და ნაცნობებს

ირინე დავითის ასული ფარჯანაძის

გარდაცვალებას. გასვენება და პანაშვიდი მოხდება შაბათს, 31 იანვარს, მამადავითის ეკლესიაში. (359 1—1)

ღრმად მწუხარებაში მყოფნი: დედა ოლინკა ფილიპეს ასული, დები ვერა, ელენე, მარიამ, ნადეჟდა და შურა დათუნაშვილები, სიძეები ალექსანდრე მახარაძე და ხარიტონ რამიშვილი ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ფილიპე (ბიჭიკო) დავ.-ძე დათუნაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღედ დანიშნულია 1 თებერვალი (ახ. სტ.) დაკრძალვა მოხდება მარცხენის სასაფლაოზე ს. ქვედა-აკეთში (გურია). (351 1—1)

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია ატყობინებს საზოგადოებას, რომ 1 თებერვალს 1 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ჟურნ. „ნაკადულის" დამაარსებლის და მისი [illegible] რედაქტორის

მარიამ ივანეს ასული დემურიას

გარდაცვალების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად. (363 2—1)

გულდამწუხრებული მეუღლე ელენე, შვილი ნათელა, ძმა ხარლამპი თოფურიძე და ცოლის და მარუსა დგებუაძე უღრმესი მწუხარებით ატყობინებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი

ვასილ მერაბის ძე თოფურიძის

გარდაცვალებას, ქ. თბილისში გამოსვენება ბინიდან ([illegible] ქ. № 18) კვირას, დილის 10 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (364 1—1)

საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივი იწვევს ამავე რაიონის პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

კვირას, 1 თებერვალს, დილის 9 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში. დღის წესრიგი: კოლექტივის მოქმედების ანგარიშის განხილვა და კოლექტივისა და თბილისის კომიტეტის წევრთა არჩევნები. (უფ. 1—1)

ექიმი ირაკლი ამბროსის ძე

შეხანოვსკი

სამიტრანი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სჭესის, შარდის, ვენერიულ და ხასიათის ავადმყოფებს (808—914)

ღებულობს: დილის 8—9 ს. მოწყალეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—6 ს. მარტო ქალებს 5—6 ნაშ. ს. (თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რეტიშჩევის ქუჩა № 23, [illegible]. (ნ.—ი.)

შრომის განაყოფიერება

ეკონომიურმა კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. დაგროვილი სიმდიდრე განიავდა. ახალის შექმნა და დამზადება მეტის-მეტი ნელი ტემპით სწარმოებს. გაღარიბდა და გაღატაკდა ის ქვეყნებიც კი, რომლებიც თავის საქონლით მთელი ქვეყნის ბაზარს ავსებდენ. საერთო პასივობის ტალღა მთელ ევროპას მოედო და თავისუფლად დანავარდობს. ყველა აღნიშნავს, რომ ევროპას „შრომის დაზარვა" დაეცა. მოთხოვნილება თუ არ მატულობს, იგივე მაინც რჩება. მიწოდება კი წარმოუდგენლათ შემცირდა. გაჩნდა ნამდვილი ნაკლებობა და ტაცება დამზადებულ საქონლისა, წარმოუდგენელი სისწრაფით ზრდა ფასებისა და, როგორც მისი შედეგი, სპეკულატიური ვაკხანალია. ცხოვრება საშინლად გაძვირდა, ფულმა ფასი დაჰკარგა, ქვეყანა ნაპრალს მიადგა და თუ დროზე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, სადაცაა გადაიჩეხება. ვინც მოსული სახელმწიფოები ათასგვარ ზომებს ამზადებენ და ღებულობენ, მაგრამ ყველა ეს ზომები თავს იყრიან ერთ ადგილას. ესაა შრომის განაყოფიერება, შრომის ნაყოფიერების გამრავლება. ამიტომაც იყო, რომ გერმანიის ხელმძღვანელი წრეები ასე დიდი ამბით აუწყებდენ: მუშა სამუშაოზე წავიდა, მუშები მუშაობას შეუდგენ.

მართლაც, ვის შეუძლია გაპარტახებული ქვეყნის ისევ აღდგენა, თუ არა თვით მუშათა კლასს, თუ არა თვით ამ კლასის მარჯვენას და მის ენერგიას? მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამდენი ხნის ომმა და მისმა საშინელმა შედეგებმა მუშათა კლასი ფიზიკურათ ისე დაასუსტა, დააუძლურა, რომ რაც უნდა ზედმეტი იმუშაოს, მისი ენერგია მაინც საკმარისი არ იქნება ქვეყნის მეურნეობის აღსადგენათ. ამან შექმნა და დაბადა იდეა საყოველთაო შრომის ბეგარისა.

თვით ეს იდეა არაა საფუძველს მოკლებული. ეს ერთგვარი ზომაა შექმნილი მდგომარეობის შესაფერებლობით.

როგორც ჩანს, ეს იდეა უკვე დაბადებულა საბჭოთა რუსეთში. გუშინდელი ტროცკის სიტყვა ამ „იძულებითი მეთოდის" ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს. „სახელმწიფოს აქვს უფლება —ამბობს ტროცკი— უთხრას მუშას: შენ მოვალე ხარ წახვიდე კოლომნის ქარხანაში და იქ იმუშაო. სახელმწიფოს შეუძლია უბრძანოს მუშას გამოვიდეს შინაური სამრეწველოებიდან და გადავიდეს სახელმწიფო ცენტრალურ სამრეწველოში. სამხედრო ნაწილები და მთელი არმია უნდა გადაიქცეს მშრომელ ნაწილებათ" და სხ. და თუ ასე ამბობენ და ითხოვენ ბოლშევიკები, რომლებიც დღემდე არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ შრომას და მის შედეგებს, პირიქით, კონტრ-რევოლუციონერობათ ნათლავდენ შრომის დისციპლინას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კრიზისს განიცდის დღეს ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

აღდგენა სახალხო მეურნეობის—აი ლოზუნგი, რომელიც დღეს საყოველთაო გამხდარა და რომელზედაც დამოკიდებულია როგორც კერძო, ისე საერთოთ, მთელი ქვეყნის გადარჩენა. და ცხადია, როგორც სხვა საქმეებში, ისე აქაც, პირველი როლი უნდა ითამაშოს თვით მუშათა კლასმა. მხოლოდ მას შეუძლია საქმის გამოსწორება, მხოლოდ მას შეუძლია სახალხო მეურნეობის აღდგენა, მხოლოდ მას შეუძლია თავისი შრომის ნაყოფიერებით დაამშვიდოს კალაპოტიდან ამოვარდნილი ცხოვრება, რომლის გაათკეცებული ზვირთები ასე დაუნდობლათ ანგრევენ ას წლობით შექმნილ კულტურას და ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს.

თუ ასეთია დიდი ქვეყნების ბედი და მდგომარეობა, რაღა უნდა იყოს მდგომარეობა ისეთი პატარა და ეკონომიურათ ჩამორჩენილი ქვეყნისა, როგორიცაა საქართველო. შეიძლება არსად არ იყოს საჭირო ისეთი მუყაითობა, ისეთი ინტენსივობა, როგორც ჩვენში. საჭიროა დაუზოგველი ენერგია, მოწამებრივი თავდადება, რომ ჩვენი ქვეყნის აწეწილი ეკონომიური მდგომარეობა ოდნავ მაინც მოწესრიგდეს და ამ მოწესრიგებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ჩვენს მუშებს.

განმტკიცება შრომის დისციპლინის, მუყაითობა და ენერგია, აი რას ითხოვს მისგან დღევანდელი საბედისწერო მომენტი.

მით შეუძლებელი და შეუწყნარებელია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი წელებზე ფეხს იდგამდეს, ხოლო მეორე მუქთახორობდეს და უზომოთ ფლანგავდეს ასეთი სიმწრით შექმნილ სიმდიდრეს. ჩვენში ბევრია ასეთი მუქთახორა და საჭიროა გამონახულ იქნას საშუალება იმათ [illegible], სახალხო მეურნეობის საქმეში ჩასაბმელად. დღეს არ შეიძლება უშრომლად ცხოვრება. ყველა მოვალეა თავის წვლილი შეიტანოს ქვეყნის მეურნეობის აღდგენაში.

აქაც, ისე როგორც ყველგან, მაგალითი უნდა უჩვენონ თავის შრომით ჩვენმა მუშებმა, ისინი ყველაფერში პირველნი არიან, აქაც პირველნი უნდა იყვნენ.

შრომა, შრომა და კიდევ შრომა,—გაისმის ყოველგან და ყოველი მხრიდან.

ამ შრომაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაც და ეჭვი არ გვეპარება, ჩვენი მუშათა კლასი აქაც ისე პირნათლად შეასრულებს თავის ისტორიულ როლს, როგორც ეს მოიმოქმედა მან სხვა უდიდეს და უმძიმეს საკითხებში.

ჰილფერდინგის აზრი ტაქტიკურ საკითხებზე *)

პარტეიტაგი (დამოუკიდებელთა ყრილობა) იმ დროს მოხდა, როცა მდგომარეობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში, საერთოდ გაურკვეველი და ყველა რაღაცას მოლოდინში იყო. დამახასიათებელი ის არის, რომ პარტეიტაგმა არ გამოარკვია თავისი დამოკიდებულება არც აწმყო პოლიტიკურ მდგომარეობასთან, არც პარტიის მომავალ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, მიუხედავათ იმისა, რომ პროგრამასთან ერთად დღის წესრიგში იყო აგრეთვე პარტიის ტაქტიკა. პარტია დაკმაყოფილდა მხოლოდ პრინციპიალური ხასიათის საკითხებით, კონკრეტიული მიზნები კი უყურადღებოთ დასტოვა.

ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. ის მჭიდროთ არის დაკავშირებული იმ შეხედულებასთან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ „რევოლუციის წინა" პერიოდში და რომ „გადამწყვეტი ბრძოლის" ლოდინი დიდი ხნით არ მოგვიხდება.

ბუნებრივია, რომ ამგვარი შეხედულობის წყალობით, ინტერესი პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლისა თვალსაჩინოდ სუსტდება; რეაქციის სურვილები ან მომავალი არჩევნები, გადასახადები ან საქარხნო საბჭოთა კანონები—ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც ზომიერ ინტერესს იწვევენ იმათში, ვინც ფიქრობს ერთი კვირის ან თვის განმავლობაში, რომ ხელში ჩაიგდებს პოლიტიკურ ძალა-უფლებას და დაამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას.

პარლამენტარული მოღვაწეობის უარყოფაში ამ შეხედულებამ იპოვა საბოლოო გამოხატულება. მართალია, ახლა ასეთ მოთხოვნაზე ხელი აიღეს, მაგრამ ამ საკითხის ძირითად შეხედულებას მაინც შეპყრობილი ჰქონდა დელეგატების საკმაო ნაწილების აზროვნება. თუმცა ამგვარ შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ პარტიის ტაქტიკური პოზიციისათვის, მაგრამ პარტეიტაგზე ამის შესახებ ცოტას ლაპარაკობდენ.

საჭიროა ამ საკითხებში ერთგვარი გარკვეულობის შეტანა, თუ არ გვსურს ზარალი მოვუტანოთ პარტიის აუცილებელ მუშაობას პრაქტიკულ და პოლიტიკურ სფეროებში; საჭიროა საკითხის გარკვევა, თუ გვსურს ხიფათის თავიდან აცდენა. პარტიამ, დისკუსიით გატაცებულმა იმ საკითხით, თუ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ რა ზომების მიღება არის საჭირო, არ უნდა დაივიწყოს აგრეთვე რა ნაბიჯს მოითხოვს მომენტი, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პარტია მიუახლოვდეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. ამისათვის საჭიროა, რომ ყველა პარტიული ამხანაგები შეეჩვიონ სერიოზულ კითხვების სერიოზულათ და საქმიანათ მსჯელობას და მიიღონ გადაწყვეტილებები მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა საბუთები აწონილ-დაწონილი იქნებიან და სრულიადაც არ უნდა გამოდიოდენ ამხანაგები ერთხელ შემუშავებულ წინასწარ აზრებიდან და ფორმულებიდან. არ არის საჭირო, რომ მოწინააღმდეგე წინასწარ მოიშოროთ დისკუსიიდან და ამისათვის ისინი ცუდი რევოლუციონერების სახელით მონათლოთ. აქ საქმე ეხება არა იმას, თუ ვის მეტი ან ნაკლები აქვს რევოლუციონური ნებისყოფა, არამედ იმას—თუ რამდენათ არის ენტუზიაზმი და რევოლუციონური გაბედულება; აქ საქმე ეხება ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების შეფასებას, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ბრძოლა. კითხვა ეხება იმას, თუ რა არის შესაძლებელი და არა იმას, თუ რა არის სასურველი. მეორეს მხრით, საჭიროა ამხანაგები არ მიეცნენ სასოწარკვეთილებას, თუ მათი აზრები მყისვე თანაგრძნობას არ პოულობენ. პირადი მოტივები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდენ. ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ ვდგევართ გადამწყვეტი ბრძოლის წინაშე, როგორც მე მგონია, სრულიად ანგარიშს არ უწევენ პოლიტიკურ სიტუაციას. ისინი არ იღებენ მხედველობაში, რომ 9 ნოემბრის ამბებმა შეახუნტა სოციალიზმი მთელი თავისი არსებით, 9 ნოემბერს ბურჟუაზიამ დაჰკარგა პოლიტიკური ძალა-უფლება. შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ მუშათა კლასს შეეძლო მთელი ძალა-უფლების უბრძოლველად ხელში ჩაგდება. არავის არ ჰქონდა აზრათ წინააღმდეგობის გაწევა. ძალა-უფლების ერთი ხელიდან მეორეში გადასვლამ არავითარი მორალური და ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა არ გამოიწვია და ფართო საზოგადოებრივი წრეები, ოდესღაც სოციალიზმისადმი მტრულათ განწყობილნი, ეხლა მზად იყვნენ მათთან ერთად ემუშავნათ. არსებული მდგომარეობა იყო მეტად ხელსაყრელი სოციალიზმის დასამყარებლათ, მიუხედავათ ეკონომიური გასაჭირისა, რადგანაც ასეთივე ეკონომიური გასაჭირი არსებობს კაპიტალიზმისათვისაც. ანარქიის ჩაქრობა, წესრიგის დამყარება და წარმოების ნაციონალიზაცია ქმნის ისეთ პირობებს, რომ სოციალისტ. წარმოების წესმა გაცილებით წინ გაუსწროს კაპიტალისტურსა და ამისათვის უფრო ადვილია დაბრკოლებათა გადალახვა, რადგანაც სოციალისტური წყობილების დროს მთავარი ფაქტორი წარმოებისა—მუშები უფრო ენერგიულად იმუშავებენ. მაგრამ ხელსაყრელი მომენტი არ იქნა გამოყენებული. ის, რაც გაუშვი ერთი წუთს, ვერ დაიბრუნებ მთელ საუკუნეს, ამბობს პოეტი. და თუ მომავალ სოციალიზმს პოეტის სიტყვები არ ეხებიან, ეს იმიტომ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ეს ისტორიული აუცილებლობა არის. ჯერ კიდევ ბევრი დრო და შრომა არის საჭირო, რომ კვლავ დაჰკრას ჟამმა. ამ ხანაში გაიზარდა არამც თუ მარტო ეკონომიური დაბრკოლებანი, არამედ—პოლიტიკურიც. მუშათა კლასის ძალები დაქსაქსული დარჩენ მას შემდეგაც, რაც ძალა-უფლება აიღო ხელში. მასსა ჯერ მემარჯვენე სოციალისტებს უჭერდა მხარს. ამას მოჰყვა ის შედეგები, რომ ბურჟუაზიამ კვლავ ჩაიგდო ხელში ის ძალა-უფლება, რომელიც მან წაერთვა. ბურჟუაზიამ ეს თავის სასარგებლოთ გამოიყენა, ყოველგვარი სოციალიზაცია აცილებული იქნა, მუშებს იარაღი ჩამოართვეს, ბურჟუაზიამ კვლავ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლების ეკონომიური და რეალური ფაქტორები. ძალთა განწყობილების არ შეფასება სისწორით, რომლიდანაც გამომდინარეობდა მუშათა რევოლუციონური ტაქტიკა, ხელს უწყობდა ბურჟუაზიის გამარჯვებას. იანვარში სურათი შეიცვალა. რევოლუციონური პროლეტარიატი იძულებული იყო თავდაცვაზე გადასულიყო. კომუნისტურმა ტაქტიკამ, რომლისაგანაც სავსებით ვერ განთავისუფლდენ დამოუკიდებელნიც, აიძულა პროლეტარიატი მათთვის არახელსაყრელ პირობებში ეწარმოებინა ბრძოლა. დამარცხებით დამთავრდა ბრძოლა, უაზრო მტკიცებამ, რომ დამარცხება რევოლუციისა ეს არის წყარო ახალი ენერგიის და ძალის შეძენისა, მიიყვანა პროლეტარიატში იმ მდგომარეობამდე, რომ მას დაავიწყდა პირველი დამარცხების გაკვეთილები. გამაგრებული ბურჟუაზია, რომელიც თავს აფარებდა მემარჯვენე სოციალისტურ კონტრ-რევოლუციას, ხშირათ დასახულ მიზანს აღწევდა. ცხადია, რომ მთელი ძალა-უფლება მუშათა კლასის მტრების ხელშია და შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა არის უგუნურობა. სიტუაცია ერთი მხრით შეიცვალა მუშათა კლასის საზარალოთ, რადგანაც პროლეტარიატმა არ იცოდა, როგორ ესარგებლა და გაემაგრებინა პოლიტიკური ძალა უფლება. ამის გამო მას მცხოვრებთა უმეტესობა ჩამოშორდა, იმ მცხოვრებთა, რომელნიც 9 ნოემბრამდე მზად იყვნენ პროლეტარიატთან ეთანამშრომლათ, და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდენ. სოციალიზმის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც არიან მემარჯვენე სოციალისტები, ხალხის თვალში დაუკარგეს სოციალიზმს ნდობა, თუმცა სოციალიზმს არც მიეცა საშუალება თავისი შემოქმედებითი მუშაობა დაენახვებინა. ამავე დროს ბურჟუაზიულ წრეებში და აგრეთვე იმ კლასებს შორის, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ არსებული წყობილების შენარჩუნებაში, გაიზარდა რწმენა თავისი სიძლიერისადმი. ამგვარად, პროლეტარიატს მოუხდება დარაზმული მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. ბრძოლის პირობები არ არის ხელსაყრელი, ამას კი აქვს დიდი მნიშვნელობა ისეთ საკითხში როგორიც არის ძალა უფლების შენარჩუნება. უკანასკნელი კითხვა უნდა დაისვას დღის წესრიგში, რადგანაც შესაძლებელია დადგეს ისეთი პირობები, რომ პარტია იძულებული გახდეს ძალა-უფლებას მოეკიდოს ხელი. ამ შემთხვევაში პარტიის ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდება არა ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობების გამო, არამედ გარეშე პირობების გავლენის გამო, ჩვენ საზავო მოლაპარაკების კრიზისის დროს ვიყავით ასეთ მდგომარეობაში ჰააზემური განაცხადი

---

*) ეს წერილი, ეკუთვნის გერმანიის სოც. დემ.-იის ცნობილ თეორეტიკოსს და დამოუკიდებელ ს.-დემოკ. ერთ ლიდერთაგანს, რ. ჰილფერდინგს; ის ახასიათებს დამოუკიდებელ პარტიის ზომიერ მიმართულების შეხედულებას ტაქტიკურ კითხვებზე გერმანიაში. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველებისათვის.

რედ.

დღეს

გერმანია მოითხოვს ზავის ხელშეკრულების იმ მუხლთა შეცვლას, რომლებიც დამნაშავეთა გაცემას ეხება.

ფინანსიურ ეკონომიურ და სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკება სწარმოებს საფრანგეთსა და ბელგიას შორის.

ფრანგული პრესის ცნობით ადმირალი კოლჩაკი ირკუტსკის რევოლუციონურ სოციალისტური მთავრობის ხელში იმყოფება.

ბოლშევიკების ცნობით ბულგარეთში აჯანყება ქალაქებიდან სოფლებს მოედო.

ინტერნაციონალურ შრომის ბიუროს დირექტორათ ერთხმად იქნა არჩეული ალბერტ ტომა.

ძალა-უფლებაზე, უნგრელები სხვაგვარათ მოიქცნენ. რა დაგვიშლიდა ჩვენ ძალა-უფლების შერჩენისათვის გარეშე, რომ სოფლის მცხოვრებნი რევოლუციონურ მთავრობას გაუწევენ სასტიკ წინააღმდეგობას. სურსათს არ შემოიტანდნენ გლეხები, ჩვენ მათ ვერ გაუძლებდით, ძალას ვერ ვიხმართ მათზე, ისინი ყველანი შეიარაღებული არიან. ეს გამოიწვევდა აგრარულ კრიზისს და ქალაქებში დიდი კრიზისი იქნებოდა სურსათის მხრივ. ამას მიემატებოდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიულ და ყველა არა სოციალისტურ ელემენტების, რომლებიც საკმაო რიცხვს წარმოადგენენ პროვინციაში, ეს კი ხელს შეუშლიდა მრეწველობის განვითარებას. აგრარულ კრიზისს დაემატებოდა მრეწველობის კრიზისი, რომელიც საშინელ ფორმებს მიიღებდა იმ ბლოკადის გამო, რომელსაც აწარმოებენ კაპიტალისტური სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის მიმართ. ყოველივე ეს გამოიწვევდა იმ ძალთა ზრდას, რომელიც წინ აღუდგებოდა რევოლუციონურ მთავრობას და ეს კი გამოიწვევდა დიდ გართულებას და წარმოების დაცემას. სამრეწველო ქვეყანა ამას ვერ აიტანს. ის წრეები, რომლებიც ახალ მთავრობას ინდიფერენტულად და შეიძლება თანაგრძნობითაც ექცეოდნენ, მთავრობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცევიან. მცხოვრებთა ჩამოშორება მთავრობისაგან გამოიწვევს მუშების ჩამოშორებას და ეს კი ხელს შეუწყობს ძალა-უფლების დამხობას. ასეთია ის შეხედულება, რომელიც არ არის სასიამოვნო იმათთვის, ვისაც ჰგონია, რომ საკმაოა ერთი იერიში მიიტანო და ყველაფერი თავის-თავად მოეწყობა.

ჩვენ გამოვსთქვამთ ამ ჩვენ აზრებს, დიდის გულის ტკივილით, 9 ნოემბერს ჩვენც გვქონდა იმედი, რომ დადგება ერა სოციალიზმისა და ჩვენ გვინდოდა სოციალიზმი და არა მარტო დემოკრატია. მაგრამ როდესაც გამოაშკარავდა, რომ 9 ნოემბრის შემდეგ მომხდარმა ამბებმა, შეასუსტა პროლეტარიატი, როგორც ეკონომიურათ, აგრეთვე პოლიტიკურად და შეცვლილი პირობები აიძულებენ პროლეტარიატს მეთოდიური ბრძოლით აიღოს კაპიტალის ტების ციხე-სიმაგრეები და არა უშედეგო იერიშებს შეალიოს ძალა-უფლება, როდესაც ყოველივე ეს გამოაშკარავდა ჩვენთვის, მოვალენი ვართ გამოვთქვათ ის, რასაც ვგრძნობთ, და ამით ავაცდინოთ პროლეტარიატს საბედისწერო დამარცხება. ეს არ არის სოციალიზმის და რევოლუციონურ პრინციპების დავიწყება. ყოველივე დამარცხება მუშათა კლასისა გვაშორებს სოციალიზმს და აძლიერებს კონტრ-რევოლუციას. სოციალისტური და რევოლუციონურია ტაქტიკა, რომელიც ეფარდება ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს. სოციალისტური და რევოლუციონურია ის ტაქტიკა, რომელიც ემყარება არა-ერთხელ გამომუშავებულ ფორმულებს, არამედ კლასთა ძალთა განწყობილების სწორ შეფასებას. სოციალიზმის ერთგულება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ილუზიებით კვებო ხალხი, არამედ სთქვა ის, რაც ნამდვილათ არსებობს. („ფრაიჰეიტ“).

დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციაში

შრომის ხელშეკრულების კანონპროექტი.

დღეს, 31 იანვარს, შუადღის 12 ს. დანიშნულია ფრაქციის სხდომა, განხილული იქნება შრომის ხელშეკრულების კანონ პროექტი.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფის სააგენტო)

30 იანვარი.

ფრანგული პრესის ცნობები

საერთაშორისო შრომის ბიუროს ადმინისტრატიულ საბჭოს სხდომა გაგრძელდა სამშაბათს, რომელზედაც საბოლოოდ დაამტკიცეს პროვინციები, რომლებიც გამომუშავებული იყო ვაშინგტონის კონფერენციაზე. საფრანგეთის, ბელგიის და შვეიცარიის მეპატრონეთა დელეგატებმა თავისი შენიშვნები გამოთქვეს 8 საათის მუშაობის კანონის გატარების შესახებ. ინტერნაციონალურ შრომის ბიუროს დირექტორათ ერთხმად აირჩიეს ალბერტ ტომა.

გადაწყვეტილია 15 ივნისს მოიწვიონ მეზღვაურთა საერთაშორისო კონფერენცია ქ. გენუაში მუშაობის დროისა და ქირის საკითხთა განსახილველად.

სამხრეთ-სლავიის მთავრობას ჯერაც არ მიუღია პასუხი ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების პროექტის შესახებ, რომელიც მას გადასცა იტალიამ, დიდმა ბრიტანიამ და საფრანგეთმა. ტრუმბიჩმა პარიზში განაცხადა, რომ ბელგრადში დიდი მღელვარება არისო. ხალხი აწყობს მიტინგებს და მთავრობისაგან ნაციონალურ ინტერესების დაცვას მოითხოვსო.

ფელდმარშალ ჰოჰენცოლერნმა ამერონგენის სასახლეში იდღესასწაულა თავის დაბადებიდან 61 წლის შესრულება.

პრაგიდან იუწყებიან: ეროვნულ კრებაზე ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხიისა და ავსტრიას შორის არავითარ ხელშეკრულებაზე არ არის ხელი მოწერილი. მოლაპარაკება სწარმოებს და იმ მიზნით, რომ გამოირკვეს საზღვრებისა და ვაჭრობის საკითხები.

ჰელსინგფორსის უკანასკნელი კონფერენციის შემდეგ პოლონეთის უმაღლეს სარდლობას მიზნად აქვს დაიცვას ლატვიის ტერიტორია ყოველ მხრივ თავდასხმისაგან. კერძოთ მიღებულია ზომები, რათა დაიცვან ერთადერთი რკინის გზა, რომელიც აერთებს ვარშავას და ვილნოს დვინსკთან და ლატვიასთან. გენ. პილსუდსკი ლატვიის ფრონტზე წავიდა.

გერმანია ანტანტას სთხოვს, რათა მან უარი სთქვას ზავის ხელშეკრულების 228 და 230 მუხლების ცხოვრებაში გატარებაზე. ეს მუხლები დამნაშავეთა გაცემას ეხება.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ბელგიის მეფეს, ორივე სახელმწიფოს პრემიერ მინისტრებს, ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრს, ორთავე ელჩებს და მარშალ ფოშს მსჯელობა ჰქონდათ სხვადასხვა ფინანსიურ-ეკონომიურ და სამხედრო საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლას მეგობრული ტონი ჰქონდა. შედეგები ორივე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებელია. ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: ბელგიის მთავრობა საფრანგეთს გადასცემს ყველა ნახშირს, რაც მის განკარგულებაშია; შრომის მინისტრმა მაღაროების მუშებისადმი მოწოდება გამოსცა სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ სწორედ იმ მიზნით, რომ თავის ფრანგ ძმებს დაეხმარონო.

რიკსდაგის საპარლამენტოშორისო ჯგუფმა წინადადება შეიტანა, რომ 1919 წ ნობელის ჯილდო პრეზიდენტ ვილსონს მისცენ.

სერბია-ხორვატია-სლოვენის სახელმწიფოს დელეგატებმა პაშიჩმა და ტრუმბიჩმა ოთხშაბათს საღამოს ინახულეს პალეოლოგი და შეატყობინეს მას, რომ მათ თავისი მთავრობისაგან მიიღეს პასუხი ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ. დოკუმენტში ბევრი რამ არის გამოტოვებული ცუდი გადმოცემის გამო. ზოგი ადგილის ახსნა მეტად ძნელია. დელეგაცია თავს იკავებს და ამიტომ ჯერ ვერ გადასცემს მას, სანამ ტექსტი სავსებით არ იქნება აღდგენილი. ნოტის შინაარსის ზოგი ცნობა ბეჭდვით ორგანოებში გამოჩნდა. „პტი პარიზიენი“ სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ პასუხი ტკბილი და მეგობრული ენით არის ნაწერი—იგი ვერ ეთანხმება იმ პროექტს, რომელიც შეადგინა კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ნიტტიმ. პასუხი თხოულობს რამდენიმე მუხლის შეცვლას და შესწორებას, მაგრამ შიგ ისე ძლიერათ არის გამოთქმული შეთანხმების სურვილი, რომ ეჭვს გარეშეა, რომ მას განიხილავენო.

საფრანგეთის წრეები ადასტურებენ „ტაიმსის“ დეპეშის სინამდვილეს იმის შესახებ, რომ ადმირალი კოლჩაკი ირკუტსკის რევოლუციონურ-სოციალისტურ მთავრობის ხელში იმყოფება, საფრანგეთის მთავრობა ამის შესახებ შეეკითხა ციმბირში მყოფ თავის უმაღლეს კომისარს და ჩიანდო მას ადმირალის განთავისუფლების მოთხოვნა.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, იანვარი 29. ნაუენი, იანვ. 27. როდესაც ერცბერგი გამოდიოდა სასამართლოს შენობიდან სადაც, ჰელფერიხის საქმე ირჩეოდა, მას ორჯერ ესროლა ყოფილმა პრაპორშჩიკმა ფონ-გირშფელდმა. გერმანული მემარცხენე პრესა ამ თავდასხმის პასუხისმგებლობას აკისრებს მემარჯვენე პრესას, რომლის პროპაგანდის წყალობით შესაძლებელი შეიქმნა თავდასხმა. ფონ გირშფელდმა განაცხადა, რომ თავდასხმა მას გააბედინა იმ რწმენამ, რომ ერცბერგი გერმანიისთვის მავნე ელემენტია და როდესაც მას მოკლავდა ამით დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს.

იურიევი. იან. 26. ბულგარეთში ისევ დაიწყო მოძრაობა, რომელიც ქალაქებიდან სოფლებსაც მოედო. ფილიპოპოლში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგ ქუჩაში 120 გვამი დარჩა.

ლონდონი. იან. 28. გაზ. „ეხო დე პარი“-ს ციურიხიდან ატყობინებენ: ხმები დადის, რომ გენერალი დენიკინი და მისი მთავარი შტაბი გაიქცა სტამბოლში ინგლისის გემით.

იურიევი. იან. 27. ესტონეთის გაზეთების ცნობით, ჩრდილოეთ დასავლეთის ყოფილმა მთავარ სარდალმა ბრძანება გასცა, რომელიც ჯარს აცხადებს დაშლილათ. დაშლის მიზეზათ აცხადებს ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის შეკვრას და შექმნილ მდგომარეობიდან გამოუვალობას.

მოსკოვი. იან. 29. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში 16 გამოქცეული მივიღეთ. რეჟიცის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზირის რაიონში მდ. პტიჩზე ბრძოლაა. მოზირის სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერსზე ჩვენ ბრძოლით სოფლები ავიღეთ. ელისავეტგრადის რაიონში ნოვომირგოროდის სამხრეთით 15 ვერსზე მტრის იერიში მოვიგერიეთ და დიდი მალაია ვისკა ავიღეთ. პერეკოპის ჩრდილოეთით და გენიჩესკის დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევით ბრძოლას წარმოებს. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სად. მანიჩსკაია და ამ სადგურის სამ.-აღმ. 10 ვერსზე მდებარე რამდენიმე სოფელი ჩვენი ცხენოსანი ნაწილები გადავიდნენ მდ. მანიჩის მარცხენა ნაპირზე და განაგრძობენ რა შეტევას, გადავიდნენ აგრეთვე მდ. კალაუსზე და მიტროფანოვკა დაიპყრეს, ამ მდ. მარცხენა ნაპირზე ჩვენ ვოზდვიჟენსკოე ავიღეთ.

მოსკოვი. იან. 29 სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობის მე-5 დღეს ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: „ცდა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ მოახდინა სამხედრო აღმშენებლობის საქმეში, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც განცალკევებული ცდა. ომი თავის შემადგენლობაში ყოველგვარ სახის აღმშენებლობას შეიცავს ჩვენ არმიის აღმშენებლობამ მხოლოთ იმიტომ მიგვიყვანა საბედნიერო შედეგამდე, რომ იგი იქმნებოდა საბჭოთა საერთო აღმშენებლობის თანახმად კლასთა დამოკიდებულების საფუძველზე ამ ცდას უნდა ჩავუკვირდეთ. მან ჩაიარა მიზანშეწონილად, განვითარდა რა იგი შემთხვევითი კოლეგიალობით, რომელიც ორგანიზაციის სისტემაში იყო შეტანილი... (გამოტოვებულია)... ყოველ შემთხვევაში კოლეგიალობა იძლევა ძალების დიდ დახარჯვას და არ აკმაყოფილებს სისწრაფეს და იმ გარკვევით მუშაობას, რომელსაც ითხოვს მსხვილი მრეწველობის მდგომარეობა. მეორე საკითხი გარდა კოლეგიალობისა, არის საკითხი მშრომელი არმიისა. ჩვენ წინ სდგას მიზანი, რომელიც ეხება ჩვენი მოქმედების ორი ხანის შეცვლას. ის დრო, რომელიც სრულიად დაჭერილი იყო ომით, ჯერაც არ დასრულებულა. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. მაგრამ საერთოდ ის ომი, რომელიც თავზე დაგვატეხეს კაპიტალისტებმა ორი წლის წინად, გამარჯვებით დასრულდა და ჩვენ ზავის საკითხზე გადავდივართ, უნდა გაგებულ იქნას ამ გადასვლის ორიგინალობა. ქვეყანა სრულიად განადგურებულია, იგი სიცივეთა და სიმშილით არის მოცული, სიღარიბემ მიაღწია საშინელ საფეხურს და მთელი თავისი ძალით ამდგარი ხალხი თითქოს დარწმუნდა მასში, რომ მას შეუძლია მთელ ქვეყანას გაუმკლავდეს. ამის გამო ხალხმა მიიღო თავისი თავის რწმენა და იგი გადაუდებელ საქმეთა გასაკეთებლად წინ აყენებს მშრომელ არმიებს. ჩვენ უნდა შევჩერდეთ მთავარზე: შევკრიბოთ პური, მოვაგროვოთ ის ცენტრში. ამ საქმიდან გადახვევა ჩვენი საქმისთვის სასიკვდილო ლახვარი იქნება. მშრომელი არმიის შექმნით, მთელი მუშების და გლეხების ძალების მოგროვებით, ჩვენ შეგვიძლია მრავალ ასი მილიონი ფუთი პურის შეკრება. ისინი ჩვენ გვაქვს. ჩვენ განვაგრძოთ ბრძოლა, ბრძოლა რომელიც შრომის ფრონტზე ბევრ მსხვერპლს მოითხოვს. მსხვერპლს ჩვენ აუცილებლათ მოვიტანთ, რადგან ჩვენთან სიცივე, სიმშილი და ავადმყოფობაა. ყველა ამ უბედურებასთან ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და ყოველის მხრიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი სახელმწიფოს აშენება მრეწველობის მსხვილი მანქანების ნიადაგზე, რათა ჩვენი სახელმწიფო შეიქმნეს კულტურული და სოციალისტური, სწორი ბრძოლით ამოვიყვანოთ იმ ჭაობიდან, რომელშიაც ჩაიხრჩვნენ ამ ჟამად მსოფლიო კაპიტალიზმი სხვა ქვეყნებში.

ც. ა. კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი „იზვესტია“-ში სწერს იმ ბოროტებასა და საშინელ მდგომარეობაზე, რომელიც დენიკინელებმა ცარიცინში დასტოვეს. თეთრები უაზროთ არბევდნენ ყველა იმას, რისი დარბევაც შესაძლებელი იყო. აფეთქებდნენ სასტუმროებს, ელექტრონის სადგურებს, წყალსადენებს, ურომლისოდაც ორასი ათასი მცხოვრებნი უწყლოთ და უსინათლოთ დარჩნენ. დაზარალდა ქარხნები და განსაკუთრებით ბოლშევიკური ფრანგული ქარხანა. ქალაქში ტელეფონის ბოძებზე ეხლაც არის დარჩენილი ბაწრები, რომელზედაც ცარიცინელებს ჰკიდებდნენ.

ბოგოტოლი 21 იან. ჩეხებმა სემენოვის ნაწილების განიარაღება დაიწყეს 7 იანვარს ქ. ირკუტსკში, რომელიც შემდეგ განვითარდა აღმოსავლეთის მიმართულებით და 10 იანვარს ვერხნეუდინსკამდისაც მიაღწია.

ახალი ამბები

საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის საშუალებით 28 იანვარს ბათუმიდან: „თფილისი, საქართველოს მთავრობას. ბედნიერნი ვართ გაუწყოთ: ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნობილია კონფერენციის მიერ. გაუმარჯოს საქართველოს. საქართველოს დელეგაცია პარიზში“.

◆ **ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდება.** სამშაბათიდან აზრათ აქვთ ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდება.

◆ **ერობათა კავშირში:** არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ ნ. ჭ ჭენიძე, მის მოადგილეთ მ. ახალაძე, წევრებათ: მ. ციცქიშვილი, ის. სტურუა და გრ. სოლომაშვილი.

◆ **ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.** ოთხშაბათობით და შაბათობით თფ. ქალაქის გამგეობა თავის სხდომებს მოანდომებს 1919—20 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

◆ **წესდება.** სატარიფო პალატის უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნება პალატის წესდება.

◆ **თფ. ქიმიურ ქარხნის ადმინისტრაციას** შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა: „27 იანვარს თქვენდამი რწმუნებულ ქარხნის დათვალიერების დროს მე აღმოვაჩინე, რომ მუშების წიგნაკებში აღნიშნული არ არის, თუ რა დროიდან დაწყებათ მუშებს თქვენს წარმოებაში მუშაობა და აგრეთვე არ არის აღნიშნული კანონით შემოღებული წესით ზედმეტი ნამუშევარი საათები. ამ ნაკლზე რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ, ყველა ის შენიშვნა, რომელიც ადგილობრივ მოგეცით თქვენ დაუყონებლივ შეასრულოთ“.

◆ **გადამდები სენი.** 16 დან 23 იანვრამდე თფილისში ავათ გამხდარა: პარტახტიანი სახადით—5, ყვავილით—1, წითელათი—3, ხუნაგით—1.

◆ **ტრამვაის დირექტორს** და მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს თფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა: „თფილისის ქალაქის ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მოწერილობის საპასუხოთ, ტრამვაის დარაჯების 6, 7 და 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ გაუწყებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონით, ღამის მუშაობის ხანგრძლივობა გამონაკლისს არ შეადგენს 8 საათის სამუშაო დღის კანონის საერთო ნორმიდან და ამიტომ საერთო საფუძველზე დარაჯებმა ღამღამობით 8 საათი უნდა იმუშაონ, თუკი ამის შესახებ მხარეებიდან რაიმე ცალკე შეთანხმება არ არსებობს. ხოლო დარაჯების და ყარაულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, როგორც ეს ორივე მხარის წარმომადგენელთა კრებაზე გამოირკვა ჩემი თანდასწრებით, დარაჯებს საჩქაროდ მისცენ თფილი მაზარები და ნაბდის ჩექმები“.

◆ **ბოსტნეულობის სკოლის მოწყობა თფილისში.** განზრახულია მომავალ შემოდგომიდან „თფილისის საბაღოსნო სკოლის“ ადგილას მოეწყოს ბოსტნეულობის პრაქტიკული სკოლა. მიწათმოქმედების მინისტრის საბჭოს გადაეცა შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვა. სკოლის მოწყობას, წინასწარ გამოანგარიშებით, დასჭირდება 40,000 მანეთი.

◆ **სპარსეთში მყოფ ქართველების მილოცვა.** დამფუძნებელ კრებას ქ. ენზელიდან (სპარსეთი) შემდეგი მისალოცი დეპეშები მოუვიდა: 1) „ქართველი საზოგადოება“ „გურჯისტანი“ ენზელიდან დამფუძნებელი კრების სახით მიულოცავს ქართველ ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და უსურვებს მის დემოკრატიას მომავალში განვითარებას და აყვავებას. „გურჯისტანი“-ს გამგეობა: სალარიძე, გოცირიძე, საყვარელიძე, ანთაძე, ბრეგაძე 2) „ქ. ენზელში მყოფი ქართველ მოხელეთა ერთი ჯგუფი დიდი აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და სალამს უძღვნის საქართველოს გმირს ნოე ჟორდანიას და მის ამხანაგებს და უსურვებს მომავალშიაც ასეთ ნაბიჯების გადადგმას დემოკრატიის საკეთილდღეოთ. კრების თავმჯდომარე მუშა მახვილაძე“

◆ **სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა** დაადგინა ქართველ სტუდენტთა დღეს, 26 იანვარს არტისტულ საზოგადოების დარბაზში საღამოზე მომხდარი ინციდენტის გამო ოფიცერი ყურანგოზიშვილი 2 კვირით დააპატიმროს და სამსახურიდან დაითხოვოს.

— **მომარაგების სამინისტროსთან** საქონლის დამზადების საკითხებზე სათათბირო ორგანოში სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ილია ქარცივაძე.

— **დუშეთის სახალხო გვარდიის შტაბმა** შუამდგომლობა აღძრა სახ. გვარდიის მთავარ შტაბის წინაშე, რათა უკანასკნელმა დუშეთის სახ. გვარდიელთა კლუბის მოსაწყობათ გადასდოს 69,539 მანეთი.

◆ **მთავრობის თავმჯდომარეს** შემდეგი დეპეშა მოუვიდა ერევნიდან: სომხეთის მთავრობის სახელით მხურვალე მადლობას გიგზავნით თქვენი მილოცვის და აქ მიერ გამოთქმულ კეთილ სურვილებისათვის სომხეთის რესპუბლიკის ცნობის გამო. პრემიერ-მინისტრი ხატისიანი.

◆ **კავშირთა მდივნების კრება.** ხვალ 1 თებ. დილის 10 ს. შრომის ბირ. დარბაზში შესდგება პროფ კავშირთა ყველა მდივნების და შრომის ბიუროთა გამგეობის კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1) პროფ კავშირთა შრომის ბიუროების დახურვა და 2) შრომის ბირჟასთან კავშირების ურთიერთობის დამოკიდებულება. საკითხების სერიოზულობის გამო სთხოვენ ზემოაღნიშნულ პირთ მობრძანდნენ სხდომაზე.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ვოლ-ლევიცკაიას, გლაზის, მოლჩანოვას, ინაშვილის, საბინინის მონაწილეობით „მეფის საცოლე“. კვირას, 1 თებერვალს ევლახიშვილის ბენეფისი, დავითოვას მონაწილეობით „კარმენ“.

◆ **ლექცია.** კვირას, 1 თებერვალს, დილის 12 ს., არტისტიულ საზოგადოების დარბაზში პროფ ტოტომიანცი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი და ბოლშევიზმი“.

◆ **ლექცია.** სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადაში კვირას 1 თებერვალს დილის 11 ს. წაიკითხავს ლექციას ა. გორგაძე შემდეგ თემაზე: „საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები“.

◆ **სახალხო სახლში** შაბათს 31 იანვარს წარმოდგენილი იქნება შილერის ტრაგედია „ყაჩაღები“ ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზე.

◆ **გამოვიდა და იყიდება** № 3 ჟურნალ „ერობა და ქალაქი“-სა (ყოფილი „კავკასიის ქალაქი“) წლიწადი მე 3. ფასი ნომრისა 80 მანეთი. შინაარსი: ქართულად: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ლ. ნათაძე—ადგილობრივი მმართველობა დამფ. კრების კონსტიტუციის პროექტში. ბიქ. თევზაძე—კერძო და საზოგადოებრივი წარმოება. ვ. ხახანაშვილი—ბაზრის მოწყობა თფილისში. ი. ქ ნი—სრულიად საქართველოს საერობო აგრონომთა პირველი ყრილობა. ქრ. შარაშიძე—სიღნაღის მაზრის სკოლების მდგომარეობა. ბიბლიოგრაფია. ქრონიკა. რუსულად: ი. მაღლაკელი—ზედამხედველობა ადგილობრივ მმართველობ. პროფ ს. ავალიანი—კომუნალური კრედიტი. პ. გეჯრულიძე—ქალაქების ლომბარდები. გ. ლიადოვი 1919 წლის მოსავალი (დასასრული) ბ. ჟვარონკი—საერობო აგრონომი. მუშაობის ძირითადი მიზნები. დ. კორინევი—ადგილობრივი თვითმმართველ. სამხ. რუსეთში. ქრონიკა.

◆ **ქართველ მწერლებს.** თანახმად საქარ. მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში გამოცემული იქნება სალიტ. კრებული დიდი ფორმატისა. მწერალთა საბჭოს მრავალ დაბრკოლებათა გამო აქამდე საშუალება არ ქონდა მოეხერხებია ხსენებულ კრებულის გამოცემა. ამ ჟამად ტექნიკურ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ მწერალთა კავშირის საბჭომ საბოლოოდ გამოარკვია კრებულის გამოცემის შესაძლებლობა და მოუწოდებს ყველა მწერლებს რაც შეიძლება დაჩქარებით გამოგზავნონ მასალები, ვინაიდან 10 თებერ. შემდეგ მასალების მიღება შეწყვეტილი იქნება. დასაბეჭდი მასალები (მოთხრობები, ლექსები, დრამატიული ნაწარმოები, კრიტიკა) შეიძლება გამოგზავნილ იქნას შემდეგი მისამართით: თფილისი, ქართველ მწერალთა კლუბი „ქიმერიონი“ (რუსთაველის პროსპექტი).

სარედაქციო კოლეგია.

კრებები

კვირას, 1-ლ თებერვალს, დილის 9 საათზე მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: კოლექტივის მოქმედების ანგარიშის განხილვა და კოლექტივის და თფილისის კომიტეტის წევრთა არჩევნები.

— კვირას, საღამოს 6 ს. სოც.-დემ. ფრაქციაში დანიშნულია ჟურნალ „ცისარტყელის“ მწერალთა ჯგუფის [illegible].

— შაბათს 6 ს. შესდგება ჩუღურეთის ახალი გაზრდა მარქსისტთა მცირე კოლექტივის კრება.

— 31 იანვარს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში შესდგება საერთო კრება სრულიად საქ. აგრონომიულ მოღვაწეთა ყრილობისა. დასაწყისი 6 ნახ საათზე.

პროვინციის ქრონიკა

დუშეთი. 27 იანვარს გვარდიელებმა ქვენვალის მთებში მოჰკლეს ძველი ყაჩაღი ფიდო პაპიაშვილი. ოთხი დღის წინათ მუხრანის რაიონში იმათვე მოჰკლეს ფიდო ხუბაშვილი, ნიკო ოქრომაშვილი. პირველი მეთაურობდა ყაჩაღების ერთ ჯგუფს, უკანასკნელი დიდ როლს თამაშობდა რკინის გზის ლიანდაგის აყრაში.

უცხოეთი

რუსეთი

„**დობროვოლიაში**“. როსტოვიდან ჩამოსული სტუდენტი, რომელიც ბოლშევიკების მიერ როსტოვის აღებამდე მოხალისეთა რაზმებში მსახურობდა, „დობროვოლიის“ ცხოვრების შესახებ შემდეგ ცნობებს იძლევა: ქ. როსტოვის ევაკუაცია 5 იანვრიდან დაიწყო. პირველ ყოვლისა ქალაქი მთავრობის დაწესებულებებმა და ჯარის ნაწილებმა დასტოვეს. სანამ ძარცვა-გლეჯა დაიწყებოდა, მოქალაქეებს არ უნდოდათ ქალაქის დატოვება; მაგრამ შემდეგ მოცდა შეუძლებელი შეიქნა. მატარებლები სახურავებამდინ გაჭედილები დადიოდნენ. „დობროვოლიის“ ქალაქებში, მატარებლებზე და სადგურებზე ალაგი ჰქონდა ფართო „პოგრომულ“ აგიტაციას მთავრობა სცემდა ბრძანებებს აგიტაციის წინააღმდეგ; მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. დენიკინის ჯარი ფაქტიურათ შენახულია. სტუდენტის სიტყვებით, ჯარის ნაწილები საერთოდ პანიკას არ მოუცავს, თუმცა დეზერტირობას, როგორც პერსონალურით, ისე მთელი რაზმებით ფართო ხასიათი ჰქონდა. ნოვოჩერკასკში მოხალისეებმა დასტოვეს დიდძალი ავტომობილი, საინტენდანტო საწყობები, არსენალები და სხვ. ტანკები გაიტანეს; გზაზე დიდძალი საქონელი რჩებოდა. შავი ზღვის გუბერნიაში თავმოყრილია დიდძალი ეგრ. წოდ. „მწვანე არმიელები“, რომლებიც დენიკინს ესხმიან ზურგიდან. ამიტომ დენიკინი იძულებულია აქ დიდი რაზმები იყოლიოს. „მწვანე არმიელები“ წამ და უწუმ ესხმიან თავს ამა თუ იმ სადგურებს. მოსაუბრის გადმოცემით, მთელი შავი ზღვის გუბერნია ბოლშევიკურათ არის განწყობილი, რაც არ ეტყობა ყუბანსა და თერგს. საინტერესოა, რომ გორთ იღებენ ქალაქებს ბოლშევიკები. როდესაც წითელი არმიელები 30 ვერსის მანძილზე იყვნენ ტაგანროგიდან, უკანასკნელში ადგილობრივ ბოლშევიკებმა 2 იანვარს მოაწყვეს გამოსვლა მოხალისეთა წინააღმდეგ და ქალაქი ხელში ჩაიგდეს. მოხალისეებმა სცადეს აჯანყებულთა განიარაღება, მაგრამ იმ დროს მოუსწრეს ბოლშევიკების რაზმებმა და მოხალისენი გარეკეს. სტუდენტის გადმოცემით, „დობროვოლიის“ მცხოვრებთა დაბალი წრეები ბოლშევიკურათ არიან განწყობილი. ინტელიგენციაში განხეთქილებაა. ბოლშევიკებს ეშინიათ მონარქისტების, მმართველ წრეებს და მცხოვრებთა იმ ნაწილს, საიდანაც გამოდის მოხალისეთა ადგილობრივი მთავრობა. მცხოვრებლები მოელოდენ ბოლშევიკებს. მოხალისეთა გაზეთები აშინებდნენ ხალხს; ბოლშევიკების გამარჯვებას მნიშვნელობას არ აძლევდნენ, მაგრამ ხალხს მათი არ სჯეროდა და დარწმუნებული იყო, რომ დამდგარია მოხალისეთა აღსასრულის დღე. მოხალისეთა დამარცხებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თითქმის ყველგან ადგილობრივი მცხოვრებლები აწყობდენ გამოსვლებს მოხალისეთა წინააღმდეგ. ამ გამოსვლებს განსაკუთრებული ფართო ხასიათი ჰქონდა უკრაინაში, სადაც ბაზრები და ქალებიც კი ერეკებოდნენ მოხალისეებს. ასეთი განწყობილება იმით აიხსნება, რომ მოხალისეთა სარდლობამ წაართვა გლეხებს მიწები, პური, ახდევინებდა მცხოვრებლებს დიდ გადასახადებს, გზავნიდა სოფლებში დამსჯელ რაზმებს და სხვ. („ისკრა“)

სამხრეთ რუსეთის ფრონტი. დენიკინელების გაზეთ „გოლოს როსიის“ გადმოცემით, 20 იანვარს მოხალისეებმა როსტოვი და ტაგანროგი დაიბრუნეს. ბოლშევიკები როსტოვთან საშინლად დამარცხდნენ. ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს ნოვოჩერკასკის რაიონში. ბაქოში ჩამოსულთა სიტყვით, პეტროვსკიდან როსტოვამდე რკინის გზით მოგზაურობა წესიერათ სწარმოებს. მოხალისეთა წრეებში სრული იმედი აქვთ, რომ ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს მიიღებს და გამარჯვებაც დამთავრდება.

ადერბეიჯანი.

მეორე ნოტა საბჭოთა მთავრობისა. ბაქოს გაზეთი „ისკრა“ შემდეგ ცნობას ათავსებს: ქალაქში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს საბჭოთა მთავრობისაგან მიუღია მეორე ნოტა, რომლითაც უკანასკნელი წინადადებას აძლევს ადერბეიჯანის მთავრობას სამ-

ბედრო კავშირი შეკრას მასთან ლენინის წინააღმდეგ; ფრიად სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ გვატყობინებენ, რომ ეს ხმები სინამდვილეს შეეფერება. საბჭოთა მთავრობა აღიარებს ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, მთავრობის პასუხი ჩიჩერინისადმი დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მოსალოდნელი კრიზისი. „მუსავატისტებმა" მთავრობიდან გაიწვიეს თავიანთი კანდიდატი. შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. გაჯინსკი ამბობს, რომ მთავრობა უკმაყოფილო იყო მისი „ზედმეტი ლიბერალიზმით". ამასთანავე განზრახულია დიდი ცვლილება შინაურ პოლიტიკაში. ყველა ამების გამო მოსალოდნელია სოციალისტებმა სულ დასტოვონ მთავრობა და დაიწყოს სამინისტრო კრიზისი.

სპარსეთი

საქართველოსა და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების გამო სპარსეთის მთავრობის გაზეთი „ირანი" შემდეგს სწერს: სპარსეთს დიდი ხანია სურდა ჰყოლოდა ისეთი მეზობლები, რომლებიც არ არიან გატაცებული იმპერიალისტური მისწრაფებებით. ადერბეიჯანი სპარსეთისათვის კეთილი მეზობელია; იგი სპარსეთის ღვიძლი ძმაა. ადერბეიჯანის ხალხის შემდეგ სპარსეთის ხალხი, გულწრფელ სიხარულს განიცდის ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების გამო. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ გაზეთი სწერს: სპარსეთს ისტორიული კავშირი აქვს საქართველოსთან. მაშინ, როდესაც სპარსეთის ხალხი ბრძოლას აწარმოებდა დესპოტიის წინააღმდეგ, საქართველოს მოღვაწენი ეხმარებოდენ მას ამ ბრძოლაში. სპარსეთის ხალხი არას დროს არ დაივიწყებს იმ გარემოებას რომ ჟანგიერი ქართველი მებრძოლნი თავისუფლებისა არ ზოგავდენ თავიანთ ძვირფას ცხოვრებას, მოდიოდენ სპარსეთში და მუშაობდენ სპარსეთის ხალხის განსათავისუფლებლად. გაზეთი სურვილს გამოსთქვამს, რათა დამყარებულ იქნეს კეთილ-მეზობლური განწყობილება ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს და სპარსეთს შორის. ყველაზე უფრო გავრცელებული სპარსული გაზეთი „რაად"-ი სწერს: „ტელეგრაფმა ცნობა მოგვიტანა, რომ ადერბეიჯანი და საქართველო აღსდგენ ისტორიულ სამფლავიდან ახალ, თავისუფალ და დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის. ჩვენ გულწრფელად მივესალმებით ამ ისტორიულ აქტს". გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ის აუარებელი ქონება, რაც ამიერკავკასიაში მოიპოვება, სრულიად დააკმაყოფილებს ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. გაზეთის აზრით ახალგაზრდა სახელმწიფოები არ უნდა ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საკრებულოს სხდომაზე 1920 წლის თებერვლის 2 დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) საკასაციო საჩივარი იმერეთის სადეპარქიო უწყებისა თფილისის სასამართლო პალატის 1917 წლ. თებერვლის 28 დადგენილ გადაწყვეტილებაზე კასატორის ეფრემ ვახტანგის ძე, ნიკო და მიხეილ ხრისტესიან ძე და გერმანე ლევანის ძე მაღლაკელიძეთა ქუთაისის მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამართველოს როგორც მესამე პირის მონაწილეობით მამულის საკუთრების უფლების თაობაზე სარჩელის შესახებ.

2) საკასაციო საჩივარი ზალიკო, ბათლომე, კანტირია, ზებე, სპირიდონ, კალისტრატე და ბასილ, იგივე ბუხუტი, ჩოჩუების თფილისის სასამართლო პალატის 1919 წლ. მარტის 24 დადგენილ გადაწყვეტილებაზე კასატორების ფოთის ქალაქის გამგეობასთან 10,000 მანეთის თაობაზე სარჩელის შესახებ.

3) საკასაციო საჩივარი მარიამ ეგნატეს ასულ კარიჯგელსას თფილისის სასამართლო პალატის 1919 წ. აპრილის 29, მარტის 6 დადგენილ გადაწყვეტილებაზე მარიამ ეგნატეს ასული კარიჯგელს იევანე იაგორის ძე კარიჯგელთან 88 000 მან. თაობაზე სარჩელის შესახებ.

დამოუკიდებლობის აღიარების გამო

ექატერინფელდი. საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ელვის სისწრაფით მოედო ყველა სოფლებს და ყველას გულში სიხარულის გრძნობა გამოიწვია. ელისავეტოპოლის კოლონიაში (ასურეთში) ახლო მდებარე სოფლებიდან შეიკრიბა ხალხი: ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, მოწაფეების მონაწილეობით, წითელი დროშებით და ზურნით. ზეიმში მონაწილეობას ღებულობდა მთელი კოლონია თავის ორკესტრით. ზეიმი 12 საათზე გაიხსნა; ილაპარაკეს: დამფ. კრების წევრმა ბიუგ..., თემის თავმჯდომარემ რაიონული გამგეობის წევრმა სამხედრო ერობის წარმომადგენელმა და ზოგიერთმა სოფლელებმა. სიტყვები წარმოითქვა ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მიტინგი მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას, მთავრობას, დამფ. კრებას, ერობას და სხ. ორატორების სიტყვებს ფარავდა „ვაშას" და „გაუმარჯოს საქართველოს" ძახილი, უკრავდა ზურნა და საზანდარი. შემდეგ ხალხმა გაიარა კოლონიის მთავარი ქუჩები და დაღამებისას დაიშალა. შემდეგ კოლონიამ გამართა ვახშამი, რომელზედაც მოწვეული იქნენ ერობის მოღვაწენი, ადმინისტრაციის წევრნი და სხვ. მხიარულებამ მთელი ღამე გასტანა. უყურებ ყველაფერ ამას და ნათლად გეხატება ის მჭიდრო კავშირი, რომელმაც ამ 100 წლის განმავლობაში ერთმანეთს გადააჯაჭვა ქართველები და გერმანელი კოლონისტები. ყველა ნასიამოვნები დარჩა. 18 იანვარი დიდხანს არ დაავიწყდება ზეიმში მონაწილეებს. X.

საჯევახო-ჩოხატაურის გზა-ტკეცილი.

ამ ორი წლის წინათ, დაახლოვებით 1918 წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში, მთელს გურიაში წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა გზებს და ხიდებს. ამ მხრით ყველაზე მეტად დაზარალდა საჯევახო ჩოხატაურის გზა, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც გზა უვლის მდინარე ბჟუის წყალის ნაპირებს სოფელ ნიგოიდან ვიდრე სოფელ ქვაყუდამდე.

სოფელ ნიღოში ეგრეთ წოდებულ „საყორნის კლდეებთან" ორი ვერსის მანძილზე გზა სრულიად ალიზულია მდინარისაგან და ძველი ნაგზაური ბევრ ადგილას მდინარის კალაპოტათ არის ახლა გადაქცეული. სრულიად წყდება მგზავრთა მიმოსვლა პატარა წვიმების დროსაც კი როგორც ქვეითა, ისე ეტლების, ურმების და ყოველგვარი მიმოსვლის...

ვინაიდან იმ ორი ვერსის მანძილზე, რომელიც ზემოთაა მოხსენებული მგზავრობა პირდაპირ მდინარით ხდება, თუ რანაირი მშვიდობიანი მოგზაურობა შეიძლება ასეთ გზაზე, ეს თვითონ საზოგადოებამ და იმ მრავალმა მგზავრებმა განსაჯონ, რომელთაც ამ გზით უხდებათ მიმოსვლა და თავის თავზე გამოუცდიათ ყველა ის საფრთხე და ტანჯვა, რაც აქ ხდება. ხშირათ ასეთი მოვლენაა და თითქმის ყოველდღე განსაკუთრებით ზამთრობით: ადიდებულ მდინარეში შედიან ურმებით ეტლებით და ცხენებით (საპალნიანი ცხენები) და მრავალი მათგანი მდინარის მსხვერპლი ხდებიან—ზოგს ბარგი ეღუპება, ზოგს ეტლები, ზოგს ურმები—ხარები და მრავალი სხვა. ამასთანავე უნდა წარმოიდგინოთ ის საშინელი წივილ-კივილი, შიში და უბედურება, რომელსაც ყოველ ასეთ შემთხვევაში აქვს ადგილი და თქვენთვის აშკარა შეიქნება ამ ხალხის უმწეო მდგომარეობა. იქნებ იკითხოს ვინმემ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გზას სახელ. საზოგადო ან კიდევ სამხედრო თვალსაზრისით. უნდა აღვნიშნოთ პირველ ყოვლისა ის, რომ ეს გზა გახლავთ უაღრესათ სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომლის მნიშვნელობა ისეთივე თვალსაჩინოა, როგორც სხვა მრავალი სამხედრო გზებისა. ამ გზით სარგებლობდა ძველი რუსეთის მთავრობა 1877—78 წლებში რუს-ოსმალეთის ომის დროს და ამავე გზამ დაუფასებელი სამსახური გაუწია საქართველოს უკანასკნელ ოსმალთა შემოსევის დროს 1918 წ როდესაც ქ. ოზურგეთის დაცემის შემდეგ ეს გზა ითვლებოდა ერთადერთ საიმედო ყოველგვარი სამხედრო მასალის და ჯარების გადასაზიდათ. ამას გარდა ამ გზით სარგებლობდა თითქმის შვიდ—რვა საზოგადოება და ისეთი დიდი ცენტრი, როგორც არის დაბა ჩოხატაური და მისი რაიონი, ამ გზით ეზიდებიან ყოველგვარ საქონელს, რაც ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მარტო სურების საზოგად. გამოაქვთ ყოველდღიურათ ასი საპანი „ყვავილი" და აგრეთვე თუთუნი 10 ათასი ფუთობით წლიურათ.

ეს გზა აგრეთვე ითვლება მთელი ამ რვა საზოგადოებებისა „მაგისტრალათ", ვინაიდან აღნიშნული საზოგადოებები მცირე და აგრეთვე ვიწრო მიწების პატრონები არიან და სახნავ მიწები ყველას რამდენიმე ათი ვერსით აქვთ დაშორებული ეგრეთ წოდებულ „რიონის ჭალებში, საიდანაც არც ისე ადვილია სიმინდის და ჩალის გადმოზიდვა, თუ ისეთი გზა, როგორიც არის საჯევახო-ჩოხატაურის, ასე ღვთის ანაბარად იქნება მივიწყებული. აი ასეთია დაახლოვებით ამ უპატრონო გზის საზოგადო სახელმწიფო და სამხედრო მნიშვნელობა.

რამდენადაც ვიცით, დღემდე არც ერთი უწყება ამ გზის შეკეთებისათვის არავითარ მზრუნველობას არ იჩენს.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ მარტო იმ ნაწილში, სადაც აწყდება სოფელი ნიღო ვიდრე სოფელ ქვაყუდამდე აგარის „ღელის" ბოგირები (ხიდები) იყო და ახლა ყველა დანგრეულია. და საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას და არა ისეთს, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნიათ.

ჩვენის აზრით, ეს გზა და სხვებიც, რომლებიც უპატრონობას განიცდიან, საჩქაროთ უნდა იქნას გადაცემული მის ბუნებრივ მომვლელ პატრონ გზათა სამინისტროზე, რომელსაც ყოველივე საშუალება მოეპოვება, როგორც ტეხნიკურის ძალების მხრით, აგრეთვე ფინანსიური მხრითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი შარა-გზები არას დროს არ იქნებიან წესიერათ მოვლილნი. რაც შეეხება კერძოთ საჯევახო ჩოხატაურის გზას, ის იმდენათ საშურათ მიგვაჩნია, რომ იმის შეკეთებას ახლავე უნდა შეუდგეს თვითონ მთავრობა, რათა ბოლო მოეღოს ამ მხარის მცხოვრებთა დაუსრულებელ ტანჯვას.

საყორნიელი.

დიმიტრი წოწორია

მარტვილიდან მეტად სამწუხარო დეპეშა მივიღეთ: „ყაჩაღებმა მოჰკლეს დიმიტრი წოწორია"-ო.

ვინც დიმიტრის იცნობდა, ვისაც შემთხვევა ჰქონია მასთან ემუშავა რევოლუციის დროს, იმას მწარედ დაალონებს ეს ცნობა.

დიმიტრი იყო ძველი პარტიული ამხანაგი, ენერგიული მომუშავე. მას არ მიუღია სწავლა-განათლება. მაგრამ მას კარგათ ჰქონდა შეთვისებული ჩვენი პარტიის ძირითადი საკითხები და ის, სოფლის მუშა, ცდილობდა სოფლის მუშების ქალაქის მუშებთან დაკავშირებას. რეაქციის დროს ის იბრძოდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. რევოლუციის პირველ დღეებში მუშაობდა როგორც მარტვილის საზოგადოების, ისე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში, როგორც წევრი ამ ორგანიზაციებისა. ის ერთ ერთ თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა აგრეთვე მარტვილის სარაიონო კოლექტივში და მთელ თავის ენერგიას პარტიულ მუშაობას ანდომებდა, დღეს კი, ბნელეთის მოციქულებმა, ხალხის მტრებმა პატიოსან მოღვაწე დიმიტრის ტვიით გული გაუგმირეს...

მშვიდობით მეგობარო. შენი სამარე იქნება შენი ამხანაგების გული. ამხანაგები მედგრათ იბრძოლებენ იმათ წინააღმდეგ, ვინც შენ მოგისპო სიცოცხლე და შენი წვრილი ცოლშვილი უდროოდ დაობლა. ა—კი.

პროფესიონალურ კავშირებში

ფარმაცევტთა პროფესიონალურ კავშირში.

18 იანვარს ამხ. ჯულელის თავმჯდომარეობით შესდგა ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის სხდომა. განსახილველი იყო საკითხი ნიხრის დამწესებელ კომისიაში წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია: ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მარტო ნიხრის გადიდება ვერ იხსნის მცხოვრებთ მედიკამენტების ნაკლებობისაგან, რომ ნიხრის გადიდება მძიმე ტვირთად დააწვება დაუკმაყოფილებელ მცხოვრებთ და ბოლოს ისინი ვერ შესძლებენ წამლების შეძენას, დიდი ფასების გამო და, რომ თავი დავაღწიოთ არსებულ მძიმე მდგომარეობას, მიღებულ უნდა იქმნას რადიკალური ზომები როგორიც არის მაგალითად აფთიაქთა ნაციონალიზაცია და აფთიაქების უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ქალაქის აფთიაქის საწყობიდან. აღიძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს აფთიაქთა ნაციონალიზაციის საკითხის შესახებ. თუ რაიმე მიზეზის გამო ამ დროებით ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იქნება, ეთხოვოს მთავრობას, რომ კერძო აფთიაქები უზრუნველყოფილი იყოს მედიკამენტებით და დაწესდეს მათზე მტკიცე ფასები.

ამავე დღეს შესდგა ფარმაცევტთა პროფესიონალური კავშირის საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კულულაშვილი. კრებამ მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულების შესახებ. მომხსენებელმა აცნობა წევრებს, რომ ვინაიდან ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებას ბევრი დეფექტები ჰქონდა, ამიტომ გამგეობამ აირჩია კომისია ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესადგენად. კომისიას უკვე დაუმთავრებია მუშაობა. საზოგადო კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად ხსენებული ხელშეკრულება, რომელიც მიღებულ იქნა შემდეგი შესწორებებით: მე 9 მუხლი იცვლება ასე: პროფ. კავშირის წევრად არ შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც ადმინისტრატიულ თანამდებობაზეა. მე 21 მუხლს მიეწერა კავშირის წესდების ის მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „კავშირის წევრად ყველას არ შეუძლია იყოს". მიეწერა ცალკე მუხლი, რომლითაც საექიმო წამლებით დახმარება ეძლევა, როგორც მოსამსახურეთ, ისე მათ ოჯახის წევრებსაც, საწარმოო დაწესებულების ხარჯზე. მიეწერა ცალკე მუხლი, რომლითაც დილით და საღამოთი მოსამსახურეებს უნდა ჰქონდეთ ჩაი. და უკანასკნელად ერთი მუხლი—რომლითაც მუშაობის დროს აფთიაქები ნორმალურათ უნდა იყვნენ გამთბარი. კრებამ დაავალა გამგეობას ეს ხელშეკრულება ცხოვრებაში გაატაროს. კრებამ მოიწონა გამგეობის დადგენილება სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მიიღო, რომ კავშირის ყველა წევრები, რომლებიც შენიშნული იქნებიან მედიკამენტებით ან რაიმე სხვა საქონლით ვაჭრობაში, დათხოვნილი უნდა იქნენ ადგილიდან, უმუშევარნი კი გამორიცხულ იქნენ კავშირის წევრობიდან.

კულტურული მუშაობა სახ. გვარდიაში

20 იანვარს შესდგა სავანგებო ბათალიონის გვარდიელების და ოფიცრების საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. ჯულელი, მდივნათ ია. გველიძე. დღის წესრიგში იდგა: ურთიერთ დახმარების და შემნახველ გამსესხებელი კასის გამგეობის არჩევის კითხვა. კასის წესდების წაკითხვის შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ წესდება მუხლობრივათ განხილული აქვს წინა კრებას ბათალიონისას და დამტკიცებული.

შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის. კენჭისყრა ფარული იყო. გამგეობაში გავიდა 5 კაცი: ს. ფუმაჯურიძე, არ. ხოფერია, ნ. სამანიძე, დ. ორაგველიძე და ალ. ჭუმბაძე, კანდიდატებით: ლ. გოგიბერიძე და ივ. კვაჭაძე. სარევიზიო კომისიაში: მ. მაისურაძე, ალ. ქვაზირელი და ნ. ცინცაძე. გამგეობას დაევალა კასის მალე დაარსება და მისი საქმის მოკლე ხანში მოწესრიგება. X.

1 წელიწადი უკრაინაში

15 დეკემბერი კიევი.

ყველგან ჩაისმის უკრაინული ლამაზი ენა. ეტყობა გაცხარებული მუშაობა სწარმოებს უწყებების ნაციონალიზაციის მოსახდენათ. მთავრობის ყველა დაწესებულებებიდან ითხოვენ რუსოფილურ ელემენტებს, რეაქციონერებს, რომლებმაც თბილი ადგილები დაიჭირეს გეტმანის დროს. იჭერენ რუს ოფიცრებს, ნამეტნავათ გენ. კირპიჩევის მოხალისეთა რაზმელებს. გ ნ. კირპიჩევი დენიკინის წარმომადგენელი იყო გეტმანთან. ეს იყო ერთად ერთი რეაქციონერი ძალა, რომელიც მხარს უჭერდა და იცავდა გეტმანს და ქალაქ კიევს დირექტორიის ჯარების შემოსევისაგან იმ დროს, როდესაც უკრაინის გეტმანის გაიდამაკის და „სირდუკოვცების" ჯარები პირველ შეტაკებისავე დირექტორიის ჯარებთან უკანასკნელთა მხარეზე გადავიდენ.

მთავრობის დეკრეტით ქუჩებში ყველა პლაკატები და დუქნების წარწერები უკრაინულ ენაზე უნდა იყოს. გამოცა დეკრეტი, რომლის ძალითაც „კერენკები" და „ნიკოლოზის ფულები" უნდა გადახურდავდეს უკრაინულ ფულის ნიშნებზე, მხოლოდ უკანასკნელნი იქნებიან გასავალი უკრაინის ტერიტორიაზე.

ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული. ქალაქს იცავენ გალიციის ჯარები—„სიჩევიკები". აქ არის აგრეთვე შტაბი ატამან კონოვალცის ჯარების მთავარ სარდლის. ძალა უფლება სამხედრო პირთა ხელშია. ყველგან ყაზახები არიან გაბატონებულნი. ჯარის ნაწილები ახდენენ ჩხრეკას, აპატიმრებენ ხალხს—იჭერენ მოხალისეებს და გეტმანის მომხრეებს. სამოქალაქო ძალა უფლებამ ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა—სამხედრო ძალა-უფლება გაბატონებულია. რამოდენიმე პირებმა სამხედრო ფორმაში გამოწყობილებმა 1919 წ. ახალ წლის ღამეს, ყუმბარები ესროლეს პედაგოგიურ მუზეუმს, სადაც 100 შეპყრობილი ოფიცრები იყვენ მოთავსებულნი. ამ ამბის გამო ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კონსულები ჩაერივნენ საქმეში და მათის მეოხებით ოფიცრები გაგზავნეს უკრაინიდან გერმანიაში. ხდება ჯარების ორგანიზაცია, პარტიზანული რაზმები, რომლებიც ემორჩილებოდენ თავიანთ ატამანებს,—პოლკებათ გადააკეთეს. სწარმოებს ნაწილების თავდაცვისათვის. უკრაინას ბევრი მტერი ჰყავს, როგორც შიგნით, აგრეთვე გარეთ. თავის მოქმედებას დირექტორიამ საფუძვლათ დაუდო პრინციპი „დამოუკიდებელი უკრაინისა" და ამით შეიჯახა იგი ორ ძლიერ მტერს—ჩრდილოეთით ბოლშევიკებს, სამხრეთ აღმოსავლეთით—დენიკინს. ეს ორივე ერთი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ელემენტები, ერთნაირათ მტრულათ უყურებდენ უკრაინის დემოკრატიის აღორძინებას და მიისწრაფოდენ უკრაინისაკენ, როგორც პურით მდიდარ ქვეყნისაკენ.

[illegible] [illegible] რუსეთის სოციალისტურ პარტიების ესერების და მენშევიკების წარმომადგენლების—დირექტორიასთან საერთო მუშაობის შესახებ, რომელმაც არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ესერები და მენშევიკები მოითხოვენ სიტყვის და პრესის თავისუფლებას და რუსულ გაზეთების შევიწროვების მოსპობას. („კიევის მისლის" და „პოსლედნი ნოვოსტის" დახურვა) დახურულ იყო ესერების ორგანო „ნაროდნოე დელო", რომლის რედაქციის გაჩხრეკის დროსაც გაიდამაკის რაზმელებმა გაანადგურეს რედაქცია და სტამბა. ამავე რიცხვებში (იანვარში 1919 წ.) სერდიუკოვსკის რაზმელებმა მოახდინეს ჩხრეკა მუშათა პროფესიონალურ კავშირების ბიუროში, რომლის კანცელარიაც განადგურებულ იქნა. ამ ამბებმა გამოიწვია მუშების პროტესტი, რის შესახებაც მთავრობამ განმარტება გამოსცა, რომ ეს ჩხრეკა მთავრობის ნებადაურთველათ ხდებოდა. ბოლშევიკებმა ყველა ეს გამოიყენეს დირექტორიის საწინააღმდეგოთ და დაიწყეს აგიტაცია მუშებში. მუშებმა თავი მოიყარეს მუშათა დეპუტატების საბჭოს გარშემო, რომელთაც მეთაურობდა კომუნისტი ბუბანოვი. ამ საბჭოში შედიოდნენ უკრაინელი კომუნისტებიც.

მუშათა საბჭო ერეოდა დირექტორიის საქმეში, ის მუშაობდა უმთავრესათ ჯარებში, რომლის გახრწნასაც ყოველ მხრივ უწყობდა ხელს, ამავე დროს პიატკოვი და ანტონოვი (უკრაინის საბჭოთა ჯარების მთავარი სარდალი) ემზადებოდენ კურსკა და ბელგოროდის მიმართულებით გამოლაშქრებათ უკრაინის წინააღმდეგ. დირექტორიის ჯარების ნ წილი ბოლშევიკების მხარეზე გადადის (ბოგუნიცები და ტარაშჩანცები), მეორე ნაწილი კი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს ბოლშევიკებს და იხევს უკან მთელ ფრონტზე. მახნო თავისი რაზმით იპყრობს ეკატერინოსლავის გუბერნიის ნახევარს რაიონს და ბოლშევიკებთან ერთად მოქმედობს.

რაკოვსკი და მანუილსკი მოსკოვის „სოვნარკომის" საზავო დელეგაციის წევრები თათბირობენ კიევში და არწმუნებენ დირექტორიას, რომ „სოვნარკომს" სურს მშვიდობიანობის დამყარება უკრაინასთან, და არც ჩაერევა მის შინაურ საქმეებში, ამ დროს ხარკოვის მხრით საბჭოთა ჯარები მიიწევდენ წინ უკრაინისაკენ. 5—6 იანვარს 1919 წ. მთავარ სარდალი ოდესის, ნიკოლაევის, ხერსონის ფრონტების ატამანი გრიგორიევი აცხადებს თავის თავს ბოლშევიკების მომხრეთ და მთელი თავისი ჯარებით გადადის მათ მხარეზე. საჭირო იყო მთელ მომქმედ ძალების ამოძრავება, საჭირო იყო უკრაინის მთელი დემოკრატიის დარაზმვა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა დაეცვათ. არც ერთი და არც მეორე არ იყო. ყოველივე დემოკრატიული მთავრობა ეყრდნობა მუშათა ორგანიზაციებს—მათ პროფესიონალურ კავშირებს. ეს დირექტორიას არ ჰქონდა, მუშები მას არ ემხრობოდენ. მუშების მომეტებული ნაწილი არ იყვნენ უკრაინელები. რუსეთის სოციალისტური პარტიები—ესერები და მენშევიკები, ვერ შეთანხმდენ დირექტორიასთან, საქმეს ჩამოშორდენ. ებრაელების პარტია „ბუნდი", პოალეი ციონი, და სიონისტების ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრენ და მათთან მუშაობდენ. გლეხობა წარმოადგენდა შეუკავშირებელ მასას. ისინი დიდხანს რა იარაღის ქვეშ დირექტორიის მოწოდებით, გეტმანის წინააღმდეგ, როგორც „პანების" ინტერესების დამცველის, შეებრძოლენ გერმანიის დამსჯელ რაზმებს, გლეხები წინააღმდეგი იყვნენ თვითმპყრობელობის და შეგნებულად ჰქონდათ მის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე გლეხებს, გარდა ყაზახებისა, რომლებიც იცნობდენ ბოლშევიზმს, ვერ შეეგნოთ რისთვის უნდა შეებრძოლონ ბოლშევიზმს, იმ ბოლშევიზმს, რომლის ლოზუნგიც იყო „საბჭოთა უკრაინის რესპუბლიკის" გამარჯვება. ნაციონალური იდეა იმ სახით, როგორითაც ატარებდა ცხოვრებაში დირექტორია, გასაგები იყო მხოლოდ დემოკრატიულ ინტელიგენციისათვის, და არა ფართო მასისათვის.

იდეამ—„უკრაინა უკრაინელებისათვის" დაჰკარგა ყოველივე მნიშვნელობა გეტმანის პოლიტ. წყალობით, რომელიც უკრაინიზაციას მეფის მოხელეების და გერმანელ დამსჯელ რაზმების მეოხებით ატარებდა ცხოვრებაში. გლეხობას, რომელსაც ემყარებოდა დირექტორია, ნაციონალური იდეა არ აინტერესებდა. მას სურდა მხოლოდ ფართო მასშტაბით ხალხის მმართველობის დამყარება. დირექტორია თავის მოწოდებებში ბოლშევიკებს ახასიათებდა არა როგორც ვიწრო კლასიურ დიქტატურის მეტარებლებს, არამედ—როგორც უცხო ელემენტებს და სხვა. გლეხობის უმეტესი ნაწილი არ მიდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, და ვინც იღებდა იარაღს ხელში ებრძოდა მხოლოდ „მოსკალებს" და „ჟიდებს" და არა კომუნისტებს. 23 იანვარს დაიწყო თავის მუშაობა „შრომის კონგრესმა", რომელმაც გამოაქვეყნა აქტი გალიციის უკრაინასთან შეერთების, ამ დროს ბოლშევიკებმა [illegible] ნეჟინი, მახნომ [illegible] ეკატერინოსლავი. შემდეგ შრომის კონგრესმა გადასწყვიტა ომი გამოეცხადოს საბჭოთა რუსეთს. რაკოვსკის საზავო დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში ნეჟინის ფრონტზე გაგზავნეს „სიჩევიკის" ჯარების ნაწილები, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. უკრაინის ჯარები ზოგი იხევდა, ზოგი კი სახლებში მიეშურებოდა, ანდა ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდა. გალიციელებმა ვერ შეძლეს ბოლშევიკების წინსვლის შეჩერება. მათ წინ იყო მტერი—რომელიც დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში. რიცხვითაც მეტი. ცხადი იყო, კიევის დაცვა შეუძლებელი იყო. შრომის კონგრესმა გამოყო მცირე კონგრესი.—და თავისი წევრები დაგზავნა პროვინციებში აგიტაციისათვის და თავდაცვის საჭიროების იდეის პროპაგანდისათვის. 26 იანვარს დაიწყო კიევის ევაკუაცია. გადასწყდა უბრძოლველათ დაეთმოთ ქალაქი მტრისათვის. ქალაქიდან გაიტანეს სამხედრო ქონება, ბანკები და მთავრობის დაწესებულებები ქალაქ ვინიცაში—დირექტორიის ახალ რეზიდენციაში. ზოგიერთი დაწესებულება, როგორც მაგალითად მთავარი სამართველო სამხედრო დაწესებულებების სალიკვიდაციო ორგანიზაციას დარჩა კიევში და ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა. 4 თებერვალს „სიჩევის" კორპუსმა დასტოვა კიევი და სადგურ ბოიარისკისაკენ დაიძრა. 6 თებერვალს კიევში შემოვიდენ „გულავკოვის ანტონოვის" ჯარები. ხ. ცერეხაძე.

(გაგრძელება იქნება).

მინისტრი ნოე რამიშვილი დ. ტყიბულში

22 იანვარს ქუთაისიდან ტყიბულისკენ გაემგზავრა შინ. საქ. მინ. ნ. რამიშვილი. მინისტრის წასვლის მიზანს შეადგენდა მაღაროების დათვალიერება და მუშებისათვის მოხსენების გაკეთება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე. სად. ზრესილში მინისტრს დახვდა ჩამწკრივებული ადგილობრივი სასწავლებლის მოწაფეები, მასწავლებლების ხელმძღვანელობით და ტყიბულის რაიონის კომისარი. მინისტრს მოხსენება გაუკეთა კომისარმა რაიონის მდგომარეობაზე, საიდანაც გამოირკვა, რომ დღეს ოკრიბის მხარეში სრული წესიერება სუფევს: არ არის ყაჩაღობა და სხვა ბოროტ-მოქმედებები, სწარმოებს დიდებით მუშაობა ხალხის კულტურულად წინ წასაწევად. არსდება სკოლები, სამკითხველოები და სხვა. აგრეთვე ნორმალურად მიმდინარეობს ერთდროული გადასახადის აკრება რაიონში და ამ მოკლე დროში სრულიად მოთავდება. აგრეთვე აღნიშნა კომისარმა, რომ ხალხში შიმშილობა დაიწყო და საჭიროა დროზე ზომების მიღება. მინისტრმა გააცნო კომისარს და იქ დამსწრე საზოგადოებას, თუ რა ზომები აქვს მიღებული მთავრობას შიმშილობის წინააღმდეგ და აღუთქვა, რომ ამ მხრივ მთავრობა ყოველგვარ საშუალებას იხმარს, რომ ხალხი დააკმაყოფილოს. მინისტრის შეკითხვაზე—თუ რა გამოიწვია ხალხში დამოუკიდებლობის ცნობამ, კომისარმა უპასუხა, რომ დიდი და პატარა აღფრთოვანებულია ამ მოვლენით და ყველას სწყურის, თუ როგორ მოახერხა ეს ჩვენმა მთავრობამ. მინისტრი იქვე ჩამწკრივებულ მოწაფეებს ესაუბრა, მისცა მათ სხვადასხვა კითხვები, ელაპარაკა მასწავლებლებს სწავლა-განათლების მდგომარეობაზე, დაათვალიერა მილიციონერები, მისცა მათ დარიგება და გაემგზავრა საწირისაკენ. საწირეში მინისტრს დახვდენ: საწირის თემის გამგეობის თავმჯდომარე და მასწავლებლები. მინისტრს მოხსენება თემის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. გაბაიძემ, რომელმაც გააცნო თემის მდგომარეობა. გააცნო აგრეთვე, თუ რა გააკეთა თემის გამგეობამ. გამოირკვა, რომ თემში უკვე მოკრებილია ერთდროული გადასახადი, გახსნილია ყველა სოფლებში სკოლა-სამკითხველოები, კეთდება გზები და სხვა. შემდეგ მინისტრმა ინახულა ადგილობრივი მასწავლებლები, შეიარა სკოლებში, მისცა შეკითხვა მოწაფეებს და აქედან გაემგზავრა ტყიბულში.

სად. ტყიბულში მინისტრს შეხვდენ მაღაროების მუშათა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საიდანაც გაემგზავრენ მაღაროებში. მაღაროებში კრება მოწვეულ იყო დღის 3 საათისათვის. სანამ კრება დაიწყებოდა, მინისტრმა დაათვალიერა მაღაროები. 3 საათზე კრებას ხსნის ამხ. ს. მეხუზლა და აცნობს კრებას, რომ მოსულია შინ. საქ. მინისტრი, რომელსაც სურს მოხსენების გაკეთება თქვენთან. როგორც კი გამოჩნდება მინისტრი, მუშათა ორკესტრი უკრავს ეროვნულ ჰიმნს და მუშებშიც გაისმის დაუსრულებელი ტაში. მინისტრი ულოცავს კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას დიდი სახელმწიფოების მიერ და აცნობს კრებას, თუ რის შედეგათ მოხდა ეს.

შემდეგ დაწვრილებით ეხება თუ რა შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებდა საქართველოს მთავრობა ამ ორი წლის განმავლობაში, თუ როგორ განამტკიცა მან შინაური სიმტკიცე და სიძლიერე—როგორ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა ის მეზობელ სახელმწიფოებთან, რის მიზეზი იყო, რომ მან სძლია გარემოცული მტრები. როგორ მოეწყო გვარდია და ჯარი. როგორია დაყენებული სწავლა განათლების საქმე, როგორ გატარდა მშრომელი ხალხის სასარგებლოთ მიწის რეფორმა ცხოვრებაში და სხვა.

და ყველა ამ შინაურმა სიმტკიცემ, სიძლიერემ და საგარეო პოლიტიკის ისე წარმოებამ, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო დემოკრატიას, მიგვიყვანა ჩვენ ამ გამარჯვებამდე, ამბობს ის და იქვე კითხვას სვამს—თუ რატომ რუსეთის არც საბჭოთა მთავრობა და არც კოლჩაკ დენიკინი არ იცნეს დიდმა სახელმწიფოებმა. რატომ დიდი რუსეთი, სადაც 180 მილიონი ხალხი ცხოვრობს, არ გახდა ღირსი ცნობისა და საქართველოს 3 მილიონიანი ხალხი კი? მინისტრი დაწვრილებით აცნობს კრებას ბოლშევიკების პოლიტიკას რუსეთში, მათ მიერ განხორციელებულ „სოციალიზმის“ შედეგებს, თუ როგორ იტანჯება იქ მუშათა კლასი შიმშილით, სიცივით და სნეულებით, მოყავს დაწვრილებით ცნობები საბჭოთა ფასების. (რაც მუშებში ძლიერ განცვიფრებას იწვევს), აცნობს კრებას, თუ რამდენი პროცენტი იხოცება შიმშილით, სიცივით და სნეულებით და სხვა (აქ მინისტრი ხელმძღვანელობდა ოფიციალური ცნობებით, რომელიც გადმოცემულია ბოლშევიკების რადიოთი). შემდეგ დაწვრილებით ეხება ნინის კრებას, თუ როგორ ფარყვნ ბოლშევიკებმა ერთა თვითგამორკვევის უფლება, რა დამოკიდებულებაში არიან პატარა ერებთან და ამბობს, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ ბოლშევიკების წინადადება სამხედრო კავშირის შეკვრის შესახებ დენიკინის წინააღმდეგ, რადგან არ გვინდოდა ჩავრეულიყავით რუსეთის შინაურ საქმეებში, და მით ჩვენი დემოკრატია გადურჩა მსხვერპლად იმ დანთებულ ცეცხლისა, რომელიც რუსეთში არსებობს. ჩვენ ვადგევართ საერთაშორისო დემოკრატიის გზას, არც სხვას ვეცემით და არც ჩვენ გვინდა დაგვეცეს და თუ ვინმე გაბედავს ჩვენზე თავდასხმას, მაშინ მთელი საქართველოს დემოკრატია, მთავრობასთან, ჯართან და გვარდიასთან ერთად დადგება ფეხზე და დაიცავს თავის მოპოვებულ უფლებებს. დაბოლოს მინისტრი ათავებს შემდეგი სიტყვებით: გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას, გაუმარჯოს ჯარსა და გვარდიას.

გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას, გაისმის „ვაშას ძახილი და ტაშის გრიალი“, ორკესტრი უკრავს ეროვნულ ჰიმნს. კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „მოისმინა რა მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის, ტყიბულის მაღაროების მუშები სავსებით კმაყოფილია მთავრობის მოქმედებით და მისი პოლიტიკური ხაზით, რომელმაც საქართველოს დემოკრატია მიიყვანა სრულ გამარჯვებამდე. ტყიბულის მაღაროების მუშები ფიცს სდებენ, რომ ის ყოველთვის გვერდში ამოუდგება მთავრობას და საქართველოს მუშათა კლასს, რომელთანაც ერთად, დაიცავს დემოკრატიულ რესპუბლიკას“.

ამის შემდეგ კრება იშლება და მიმავალ მინისტრს ტაშის ცემით „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილით აცილებენ. საღამოს გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ სტუმრები, ადმინისტრაცია და მუშათა წარმომადგენლები. წარმოითქვა ნოე ჟორდანიას, მთავრობის, დამოუკიდებელ საქართველოს და სხვა სადღეგრძელოები. მინისტრი 23 იანვარს დილით დაბრუნდა ქუთაისში. მუშები მეტათ კმაყოფილი დარჩნენ მინისტრის ჩამოსვლით.

კარგი იყო, რომ მინისტრს აგრეთვე გაეკეთებია ოკრიბის მხარის სხვა და სხვა ადგილებშიც თავისი მოხსენება, რომლითაც გაფანტავდა იმ ბურუსს, რომელიც იქმნება ზოგიერთ ალაგას ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების მოქმედებით. „ზეგი“.

ს.-დ. პარტიაში

საღ. ხაჩხერი. 22 იანვ. შესდგა საღ. მუშა-მოსამსახურეების შეერთებული კრება. კრებას დაესწრო 30-მდე წევრი. კრების ინიციატორი იყო სახჩხერის ს. დ. კოლ. თავმ. ამხ. ვ. კაპანაძე. კრების მიზანი იყო მცირე კოლექტივის შედგენა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებს შორის და დაკავშირება სახჩხერის კოლექტივთან, რომელიც ეკუთვნის სახჩხერის რაიონს. პირველ საკითხს შეადგენდა პრეზიდიუმის არჩევას, მეორე ახალი წევრების მიღება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბაგრატ გოგიაშვილი, მდივნათ ვ. რაზმაძე.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. კაპანაძე, რომელმაც აუხსნა დამსწრეთ მნიშვნელობა სოც.-დემ. პარტიისა. მოხსენების შემდეგ კრება ირჩევს ქვე-კოლექტივის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეთ ამხ. ლ. აბჟანდაძე, მის ამხანაგათ ამხ. რაზმაძე, მდივ.-ხაზინადრათ ს. გიორგაძე, მათ კანდიდატებათ: ქ. სულაქველიძე, ვლადიმერ მოდებაძე, შ. ნასრაძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ. ბ. გოგიაშვილი, ზ. შუკაკიძე, სანდრო გაფრინდაშვილი. კრება საღამოს 6 ს. დაიხურა. აღსანიშნავია, რომ სახჩხერის მოსამსახურეები მით უმეტეს მოძრაობის დარგისა ძალიან მოკლებული იყვნენ პარტიულ შეგნებას და ჩამორჩენილნი იყვნენ ლიანდაგის მუშებთან და აი, სწორეთ ამ კრებამ დააკავშირა ორივე დარგის მუშები, ჩვენ პარტიას შეეძინა ათი ახალი წევრი. თვეში ორჯერ იმართება საერთო კრება. ხუთშაბათობით პრეზიდიუმის სხდომები. ყველა კრების ანუ სხდომების ოქმები ეგზავნება ადგ. სახჩხერის რაიონის კოლექტივს. აგრეთვე პროპაგანდისტი მოწვეულია თვეში ორჯერ ფასით. მაშ უსურვოთ საძ. საღ. რკინის გზის ქვეკოლექტივის პრეზიდიუმს კეთილი და ხანგრძლივი მუშაობა.

ს. გიორგაძე.

თფილისი. 20 იანვარს, დეპოს სახადილოს შენობაში შესდგა დეპოს ორგანიზაციის ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) საქართველოს დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და 2) რეგისტრაცია. პირველ საკითხის შესახებ ილაპარაკეს ს. აზ—შვილმა და ი. მ—ძემ. აუხსნეს კრებას, თუ რისთვის იცავდა ჩვენი პარტია საქართველოს დამოუკიდებლობას და რა მნიშვნელობა აქვს ამ აქტს მუშათა კლასისთვის. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: საქართველოს დამოუკიდებლობა პირველათ იცნეს სოციალისტურმა კონგრესებმა, ბოლოს კი ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა და ეს ნაყოფია იმ თავდადებული მუშაობის, რომელსაც აწარმოებდა, ჩვენი დემოკრატიის დახმარებით, ჩვენი პარტიის ბელადები. ამისათვის არ შეგვიძლია არ მივესალმოთ მათ დღეს ეს დიადი გამარჯვება, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის აღიარებაში ჩვენ ვხედავთ დემოკრატიული პრინციპების გამარჯვებას, რაც მუშათა კლასისთვის უმთავრესი საბრძოლველი იარაღთაგანია საბოლოვო მიზნის მისაღწევათ.

რეგისტრაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს მცირე კოლექტივის მდივანი, რომელიც აცნობს კრებას პარტიის წევრების რაოდენობას წარსულის და მიმდინარე წლისას.

შემდეგ თავმჯდომარე აცნობებს კრებას ერთი ჩვენი პარტიის წევრის, მეხუთაში წყალსადენის მემანქანე კაკაურიძის ტრაგიკულად სიკვდილს, რომელიც 20 იანვარს თფ. სადგ. შეცრათ გასჭყლიტა მატარებელმა. კრებამ პატივი სცა ფეხზე ადგომით.

მდივანი პ. თ.

ნავთლუღი. 26 იანვარს ნავთლუღის მუშათა კლუბის შენობაში შესდგა პარტიული კრება საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის ნავთლუღის რაიონისა. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი წევრებისა და კანონიერათ ჩაითვალა. რის შემდეგ იქნა არჩეული თავმჯდომარეთ: გიორგი ქვერნაძე. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ დღიდან მისი დაარსებისა; 2) 7 კოლექტივის წევრთა შემადგენლობის არჩევა.

მოხსენება მე 7 კოლექტივის მუშაობის შესახებ გააკეთა ამ. ეკტიხი ლორიამ; მან გააცნო კრებას, თუ როგორ პირობებში მოუხდა მე 7 კოლექტივს დაარსება გასული წლის იენისში. და ამ ხნის განმავლობაში რის გაკეთება შესძლო მან. პირველ ყოვლისა კოლექტივის ყურადღება იყო მიქცეული მცირე კოლექტივების და იაჩეიკების დაარსებაზე. ამ მხრივ მისი მუშაობა ნაყოფიერათ უნდა ჩაითვალოს, რადგან სანაიში და სალოლოში იქნა დაარსებული მცირე კოლექტივები აგრეთვე ზოგ სოფელშიაც; თითო იაჩეიკა რკინის გზის ლიანდაგზე, ერთი ქალაქის სასაკლაოში და აგრეთვე მეზღვეებში. კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა ქალაქის სასაკლაოში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირების დაარსებაში, აგრეთვე იღებდა მხურვალე მონაწილეობას ყოველივე პარტიულ არჩევნებში რაც კი მოხდებოდა რაიონში მაგ. რკინის გზელთა ყრილობაზე გასაგზავნ პირების არჩევნებში; რკინის გზის ნავთლუღის რაიონულ გამგეობის არჩევნებში და სხ. აგრეთვე ფრონტის დღის და გვარდიელების დღის მოწყობაში. გასული წლის იენისიდან ე. ი. დაარსებიდან იანვრამდე 1920 წ. კოლექტივს ჰქონია 30 ჩვეულებრივი სხდომა; 4 არაჩვეულებრივი, რასაც ესწრებოდნენ კოლექტივის წევრები სისტემატიურათ. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო კოლექტივს 4 პარტიული კრება, რომლებზედაც სხვადასხვა ორატორების მიერ იყო წაკითხული მოხსენებები. შემდეგ მომხსენებელმა გააცნო კრებას წევრების რიცხვი სახელდობრ 700 და შემოსავალ-გასავალი და მოუწოდა დასასრულ აირჩიათ კოლექტივის წევრათ მომზადებული პირები, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია:

მე 7-დე რაიონის წევრებმა საქ. სოც. დემოკ. მუშათა პარტიისამ მოისმინეს რა მოხსენება ამავე რაიონის კოლექტივის ანგარიშის და მუშაობის შესახებ, დამაკმაყოფილებლათ სცნეს და მოუწოდეს მომავალში უფრო ენერგიულ მუშაობისაკენ. შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა კოლექტივის შემადგენლობის შესახებ და მიიღო კოლექტივის წევრათ 15 კაცი, ორი [illegible] ლიანდაგს რკინის გზისას და 8 კანდიდატი. 2 თფილისის კომიტეტის წევრი, ორიც მისი კანდიდატი და სამი წევრი სარევიზიო კომისიის კანდიდატების დასახელების და კენჭის ყრის შემდეგ გავიდნენ შემდეგი პირები: კოლექტივის წევრებათ: კვერნაძე გ., ლორია ეკტ., სილიმანოვი, ხერხეულიძე ს., სარჯველაძე, გოგინაშვილი მ., ხაზიშვილი მ., ბიძინაშვილი ე., პეროსმანაშვილი მ., ყაზაროვი შ., შელავა ბერეკაშვილი გ., ჯანგიძე ალ. კანდიდატებათ: გვიმბრაძე, რაზმაძე, მაისაშვილი მ., ქსოვრელი, მამიაშვილი, ბერაძე, სურგულაძე, ტელენტი ს., თფილისის კომიტეტის წევრებათ: ლორია, კვერნაძე კანდიდატებათ ხერხეულიძე, სარჯველაძე, სარევიზიო კომისიის წევრებათ: ხელაძე, ოსიპოვი, მაისაშვილი გიორგი. კრება დაიშალა 8 საათზე.

მდივანი ბეჟალავა.

მუშათა შორის

ქალაქის პირველი საავადმყოფო. 19 იანვარს, პირველ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის თავმჯდომარემ გ. კამკამიძემ მოიწვია ღონისძიებ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1) საავადმყოფოს მდგომარეობის შესახებ; 2) კავშირის წევრთა დისციპლინა.

კრების გახსნისას ა. კალანდაძემ გააცნო და მიულოცა კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა უმაღლესი საბჭოს მიერ. კრება აღფრთოვანებით შეხვდა ამ აქტს. დადგენილ იქნა მიესალმოს კრება რევოლიუციის გვირგვინს—დამფუძნებელ კრებას, მის მთავრობას და უსურვოს მის განგრძობას ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს დემოკრატიის საკეთილდღეოდ. ამის შემდეგ საავადმყოფოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ა. კალანდაძე. გამოირკვა, რომ საავადმყოფოში გავრცელებულია ქურდობა და რაც უფრო საზიზღრობაა და დასაგმობი შეგნებულ კავშირის წევრისათვის—საავადმყოფოს ავეჯის და ნივთების მითვისება. მაგალითად აქ სამი დღის წინად 4 მომვლელი ქალი ერთად ქურდობაში შეუსწრიათ...

კრების მიერ დადგენილ იქნა თვალყურის დევნა და სასტიკად დასჯა იმისა, ვინც კვლავ ოდნავად შემჩნეული იქნება ასეთ ბოროტ საქმეში. დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა მიხ. ჯაჯანიძემ. მან აღნიშნა, რომ მუშა-მოსამსახურეებს შორის კინკლაობას და შურს ფართო ადგილი აქვს. ისინი არავითარ დისციპლინას არ ემორჩილებიან. ქალაქის თვითმართველობიდან დანიშნულმა რევიზიამ დ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით, მრავალი ბოროტმოქმედება აღმოაჩინა. ამის გამო ძველი საავადმყოფოს ადმინისტრაციის წევრები დათხოვნილ იქნა და მათ ალაგას არჩეულია ახლები.

მუშა-მოსამსახურეების დათხოვნა-მიღების საქმეს დღევანდლამდე ექიმი განაგებდა. ახლა კი ეს კოლეგიალურად ხდება. საჭიროა ქალაქის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ახლად დანიშნულ ადმინისტრაციას და აღმოუჩინოს მას შესაფერი დახმარება.

მიხ. ჯაჯანიძე.

ავლაბრის მუშათა კლუბი. 26 იანვარს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) სცენის მოყვარეთა და რეჟისორ დ. ჩარკვიანის შორის კონფლიქტი; 2) ბენეფისების მიცემა; 3) გომერის განცხადება; 4) ჯამაგირების საკითხი; 5) წარმოდგენები და რეპეტიციები; 6) მ. ჯანველოვის განცხადება, განცხადება სარაულისა. გამგეობამ განიხილა სცენის მოყვარეთა და რეჟისორ დ. ჩარკვიანის კონფლიქტი და დაადგინა: მოწვეულ რეჟისორის ჩარკვიანის გარშემო თავი მოიყარონ იმ სცენის მოყვარეებმა, ვისაც სურს სახალხო სცენას ემსახუროს. გამგეობა დღიდან არავითარ განცხადებებს, იქნება ეს სცენის მოყვარეებისაგან, თუ ვისმესაგან ამ ხაზის შესახებ,—არა სცნობს, არა სცნობს აგრეთვე არავითარ დასების და ჯგუფების არსებობას, ვინაიდან რეჟისორისა და ზოგი სცენის მოყვარეთა მოხსენებებიდან აშკარად გამოირკვა გამგეობის სხდომაზე, თუ რა არის მიზეზი არა სოლიდარული მუშაობისა. ამავე მიზეზით, გამგეობამ, რომელმაც განიხილა სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი განცხადება, დაადგინა: ვისაც სურს მუშაობა სცენის გარშემო, მან თავი გაანებოს კინკლაობას. ბენეფისების მიცემის შესახებ გამგეობა რჩება ძველ გადაწყვეტილებაზე, ბენეფისები არ იდგმებოდეს პრეზიდიუმთან შეუთანხმებლად. გომერის განცხადება ნივთების შესყიდვის შესახებ, გადაეცა პრეზიდიუმს მოსაწესრიგებლად. ჯამაგირების მომატება დეკორატორისა და რეკვიზიტორისთვის: ვინაიდან მუშათა კლუბის შემოსავალი ჯერ ვერ გაუძლებს ჯამაგირების მომატებას, ამისთვის ეს საკითხი გადიდება ახლო მომავალში,

წარმოდგენები და რეპეტიციები: მიეცეს წინადადება რეჟისორებს, რომ წარმოდგენა იწყებოდეს სრულ 8 ს. და თავდებოდეს უეჭველ 12 საათზე.

რეპეტიციები უნდა იმართებოდეს უთუოდ ავლაბრის მუშათა კლუბში. გამგეობამ შექმნას ყველგანი პირობები, რომ რეპეტიციები ადგილობრივად იქნას გავლილი.

მზახიომ სარაულის განცხადება დაკმაყოფილებულ იქნა, და ეძლევა მას მუშათა კლუბის დარბაზი 31 იანვარს. დაკმაყოფილებულ იქნა აგრეთვე მ. ჯანველოვის განცხადება კლუბის დარბაზის დათმობის შესახებ.

ვერხვ.

პროვინციაში

ხვირის თემი. (ქუთაისის მაზრა). ხვირის სათემო გამგეობა მუშაობას შეუდგა წარსული წლის იენისიდან მან დაიწყო მუშაობა სრულიად ახლიდან. გაუკეთებელი ბევრი რამ იყო და არის. პირველ ყოვლისა მან მიაქცია ყურადღება სკოლების მდგომარეობის ცოტათი მაინც გაუმჯობესებას. (სულ 5 დაწყებითი და 1 უმაღ. დაწყებითი სკოლაა.) ყველა სკოლებს აკლიათ მასწავლებლები და მინიმუმიც შეძლების დაგვარად დააკმაყოფილა (გარდა ორი სკოლისა საკუთარი ბინა არც ერთს არ აქვს). არა ნაკლები ყურადღების ღირსი იყო სასამართლოს საკითხი. ქუთაისის სამაზრო ერობამ გამოჰყო სასამართლოს მხრივ სვირის ზონი, სადაც შედის სამი თემი, და სვირის სადგურიც ამ სამი თემის ცენტრათ ითვლება. აი ამ სვირის სათემო გამგეობამ მიიწვეიერა ის, რომ ამ ერთ კვირაში საგანგებოთ ამისთვის მოწყობილ ბინაზე, მოვლილით მომრიგებელ მოსამართლეს სვირის სადგურზე, რომელიც აძლევს ბანს საქმეებს არჩევდა ქ. ქუთაისში და დიდ დაბრკოლებაში გადაეკიდებოდა სვირის მოქალაქეებს ქუთაისში მოწვევისა და მოწმობისა—მოპასუხეს საბითი სიარული, რომელიც ბევრ ხარჯებს მოითხოვდა. აგრეთვე გამგეობამ დაისახა მიზნად 15 წლის განმავლობაში შეკეთებული გზები შეეკეთებია ისე მაინც, რომ შესაძლო ყოფილიყოს გავლა ზედ. მაგრამ ამ უკანასკნელის სისრულეში არ მოყვანა მიეწერება ბაღდადის რაიონის გზების ტეხნიკს (ამ რაიონში შედის სვირიც) უმოქმედობას, რომელიც გამოიხატება მასში, რომ გამგეობამ მრავალჯერ მისწერა მას ამოსულიყო და გამოეშუშავებინა ტეხნიკ. მხარე, მაგრამ ჯერაც ის სვირში არ გვინახავს. მანვე მიაქცია ყურადღება დღიდან მუშაობის დაწყებისა, მოქალაქეთა, შეშით უზრუნველ-ყოფას და, თანახმად მიწად-მოქმედების სამინისტროს განკარგულებისა, მიიღო 10 დესიატინა ტყე აჯამეთის აგარაკიდან, რაც ეხლა ნაწილდება არა მქონე პირთა შორის. გადასახადები როგორც ერთდროული მიწის, აგრეთვე სანიტარული თითქმის გადახდილად ჩაითვლება, აგრეთვე მიიღეთ ნებართვა, აჯამეთის მამულში გაყვანილ არხზე მიგარების გასაკეთებლად. საჭიროა აგრეთვე მიექცეს სათანადო ყურადღება ხარჯვე არხს, რომელიც მდინარე ყვირილამ გაანადგურა და შესაძლებელია სრულიად განადგურდეს 3—4 ვერსის მანძილზე, რომლის შეკეთებაც ათეული მილიონი დაჯდება. გამგეობას განზრახული აქვს ტელეფონის გაყვანა ქ. ქუთაისთან. გახსნილ იქნა აგრეთვე საექიმო პუნქტი.

ჯიუტი.

თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს გამოცდილ სამაზრო საერობო ექიმს. თვეში 9000 მან. დღიურებიანათ, ერთ ექიმს ამბულატორიისათვის თიანეთში და ხევსურეთ სოფელში 6000 მან. თითოს აგრონომს (უმაღლეს სწავლა დამთავრებულს 5000 მან., აგრონომს) (საშუალო განათლებით) 4000 მან., ერობის ტეხნიკოსს—4500 მან., მის თანაშემწეს—4000 მ., მასწავლებლებს 15 იანვრიდან თვეში 2300 მან., საჭიროა აგრეთვე შკოლის ფერშლები და ბებია-ფერშლები თვეში 4000 მანეთი. თხოვნები მიიღება ერობის გამგეობაში.

დიდი-ჯიხაიში. 21 დეკემბერს მოხდა ადგილობრივ თემის ხმოსანთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ს. ცაგარეიშვილი. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) იანითის პლათფორმიდან ჯიხაიშამდი „კონკის“ გაყვანა, 3) გასულ წლებში ზოგიერთ პირების მიერ სიმინდის სესხის დაუბრუნებლობა, 4) დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თავისუფალ ადგილზე მასწავლებლის არჩევა და სხვა და სხვა ხასიათის განცხადებანი. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ლ. დარსაველიძე. მოხსენების მოსმენის შემდეგ გაირჩა იანეთიდან ჯიხაიშამდე „კონკის“ გაყვანის საკითხი. გამგეობის წევრმა ლ. დარსაველიძემ გააცნო კრებას, რომ ქუთაისის სამაზრო ერობა უთმობს დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებას აღნიშნულ საჭიროებისათვის რკინის გზის ლიანდაგებს და რამოდენიმე ვაგონსაც შეღავათიან ფასებში. საჭირო იქნება წინასწარ ამ საქმისთვის 54,000 მან. კრებამ ეს საკითხი დადებით გადაწყვიტა. აღნიშნა ამ თანხის შესატანი რამოდენიმე შემოსავლის წყაროები და დაავალა გამგეობას, იქონიოს მოლაპარაკება ს. იანეთთან, რომ ამ საზოგადოებამაც მიიღოს მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. დიდი კამათი გამოიწვია მესამე საკითხმა. გამოირკვა, რომ ბევრ პირს ქონია წაღებული სიმინდი სესხად, მაგრამ დღემდის არავისგან არ არის დაბრუნებული. აქვს თითოს 10—20 ფუთამდე. კრებამ დაადგინა მიეცეს წინადადება, რომ დააბრუნონ სესხი სიმინდითვე ან და ფულად 100 მან. ფუთზე. მხოლოდ უქონელნი ღარიბები კი განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან. თავისუფალ მასწავლებლის ადგილზე ფარულ კენჭის ყრით არჩეულ იქნა მასწ. გ. ვაშაკიძე.

ნოდე.

წერ. რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ მადლობა გამოვუცხადოთ თისებ ფანცულაიას, რომელმაც კეთილ ინება და ხაშურის სახალხო გვარდიის სამკითხველოს 7 ქართული წიგნი შესწირა.

შტაბის თავმჯდომარე ნ. ხახარულიძე.

ლანჩ-ჰვანის მაღალ რიცხოვანი მიტინგი უღრმეს მადლობას უძღვნის თფილისში არსებულ ლანჩ-ჰვანის დამხმარე კავშირს რევოლიუციონური დროის შემოწირულებისათვის და სხვა მოღვაწეობისათვის ლანჩ-ჰვანის თემის სასარგებლოთ.

კრების თავმჯდომარე გიორგი წიგწიგაძე

უღრმეს მადლობას ვსწირავთ პლატონ ნიკოლოზის ძეს ღლენტს, რომელმაც ახლ შემდგარ ხევის თემს შემოსწირა საკანცელარიო ბეჭედი და შტემპელი თავის მოწყობილებით.

ხევის თემის გამგეობა.

განცხადებანი

ნიკოლოზ იასონის ძე ცხადაძემ 8. წ. 4 იანვარს მე-№ 8 მატარებელში სამგურ სვირსა და ხაშურს შუა

დაჰკარგა

ბორჯომის სახელოსნო შკოლიდან მოცემული ატესტატი, რაც ჩაითვლება გაუქმებულად. (კუპ. 61—1—1)

ნოე ერმილეს ძე თავზერიძემ

დაჰკარგა

ბათუმში სამგზავრო „პროპუსკი“, სამხედრო თავისუფლების და ვინაობის მოწმობები რაც ითვლება გაუქმებულად. (კუპ. 45—1—1)

გამოცდილი მასწავლებელი

—ამზადებს—

სეკტემბრისათვის 2,3,4,5 კლასში შესასვლელად ყველა სასწავლებელში და ფთიაქის შეგირდად. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან. ცნობების მიღება საღ. 3 საათ.—6 საათამდე. (347—2—2)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

პ. ბ. მეჯრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი

ზ. ი. მირი[illegible]

შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი ლ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ნიკოლოზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] აუდიტორიის ახლო.

ექიმი ა. დ. კუკულაძე

სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი

ნ. დ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, [illegible] და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი ქართ. სამკურნალო

ექიმ ნავასარდიანისა

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარსებ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606“ და „914“ 11—12 საათ.
ნ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახარაძე —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. ძვლა.
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებუთოვისა—12—1 საათ (ყურ. ცხვ. და ხორხის). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
გ. ა. ხორძეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო

ექ. დონხინისა

(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 14
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი გ. მ. მშინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87. (114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ხუხურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმამილოვის ქუჩა № 28. (თ. 2065).

დოქტორი მედიცინის

ა. ა. მონსე

სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავადმყოფობანი [illegible], სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 18—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—85.) (თ. 3463)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმამილოვის ქუჩა № 11. მიხაილოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ს. ბ. [illegible]

სპეციალურად სიფილისი [illegible] (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.